პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 10 დეკემბერი, 1948 წ. № 244 (8288). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

1949 წლის 6 თებერვალი სახალხო სასამართლოების არჩევნების დღე — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

პატაკი ი. ბ. სტალინისადმი საქართველოს სს რესპუბლიკის მიერ ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის გადამეტებით შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

მოსკოვლთა წარმატებანი სპარტაკიადის მრეწველობის მუშაკებს აღაფრთოვანებენ ახალი შრომითი მამაცობისათვის! (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

პრესის მიმოხილვა (მე-2 გვერდი).

ს. ნიკოშვილი — მოსწავლეთა მუსიკალური აღზრდის საქმეში უკეთესად მოწყობისათვის (მე-3 გვერდი).

გ. კოსარევი — მოწინავე კოლმეურნეობა და [illegible] (მე-3 გვერდი).

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მანიფესტი მშვიდობის დასაცავად (მე-3 გვერდი).

ბაქრთინავებული ეროვნის ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

1949 წლის 6 თებერვალი სახალხო სასამართლოების არჩევნების დღეა

დღეს ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ".

საქართველოს მშრომელები 1949 წლის 6 თებერვალს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად აირჩევენ ხალხის საკეთილო შვილებს, პოლიტიკურად მომზადებულ, პრაქტიკულ მუშაობაში გამოწრთობილ ადამიანებს, რომელთაც შეესისხლხორცებული აქვთ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა და შესწავლეთ უნარი იდგნენ ამ პოლიტიკის განხორციელად განხორციელების ავანგარდში, გაამარილონ პარტიისა და ხალხის ნდობა.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 123 მუხლისა და სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის 22 მუხლის საფუძველზე სახალხო სასამართლეს რაიონის მოქალაქენი აირჩევენ საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით—სამი წლის ვადით. სახალხო სასამართლოების არჩევნები ამ წესით ჩვენში პირველად ხდება. მართალია, ჩვენს პარტიულ და სამეთოდო ორგანოებს დიდი გამოკვლევა აქვთ მიღებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს, მაგრამ სახალხო სასამართლოების არჩევნები ხასიათდება განსაკუთრებული თავისებურებით. ეს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არჩევნებისათვის მზადებისა და ჩატარების ყველა ეტაპზე. საქმე ის არის, რომ თუ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს ამომაჩრეველი უმეტეს შემთხვევაში ერთსა და იმავე დროს ორ პიროვნებებს იღებდა და კენჭს უყრიდა ორ კანდიდატს—ერთს სახოფლო საბჭოს და მეორეს რაიონული საბჭოს დეპუტატობაზე, ახლა სახალხო სასამართლოს არჩევნების თვითეულ საარჩევნო ოლქში ეჯახ ეყრება არა ორ კანდიდატს, არამედ ერთ სახალხო მოსამართლეს და 50-დან 75-მდე სახალხო მსაჯულს. ამოცანა ის არის, რომ ამომჩეველს ღრმად განეფმარტოთ მომავალი არჩევნების ეს თავისებურება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ თუ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს საარჩევნო ოლქებში ერთვნენენ ნდობით აღჭურვილი პირებს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ დეპუტატობის კანდიდატის სასარგებლოდ აგიტაციის გაწევა, მომავალ არჩევნებში სახალხო მოსამართლედ და სახალხო მსაჯულებად წამოყენებული კანდიდატების სასარგებლო აგიტაცია მთლიანად დაკისრებული ექნებთ აგიტატორებს, რომლებიც გაერთიანებული იქნებიან საარჩევნო პუნქტებთან არსებულ აგიტკოლექტივებში. აგიტატორებს მოუთხოვებენ ზედმიწევნით იცოდნენ ასარჩევად წამოყენებული თვითეული სახალხო მოსამართლის და სახალხო მსაჯულის კანდიდატის ბიოგრაფია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი საქმიანობა და ეს დაწერილებით გააცნონ ამომაჩრეველს.

საბჭოთა ადამიანები ჩვენს სახალხო მოსამართლეებს უდიდეს მოთხოვნებს უყენებენ. ამხანაგი მ. ი. კალინინი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 10 წლისთავის დღეს, აღნიშნავდა რა იმ ავთანებებს, რაც ადამიანებისა მოსამართლისათვის, მიგვითითებდა:

„მაგალითად, მე რომ მკითხონ, თუ ჩვენს სახელმწიფოში ამკამად ვის შეეძლია დაიკავოს მოსამართლის ადგილი, ვინ შეიძლება იყოს მოსამართლე, ვიტყვი, რომ მოსამართლეს ის ცოდნა მაინც უნდა ჰქონდეს, რასაც კომეხსტრი უნიკერსიტეტი იძლევა; მოსამართლეს ისეთი კაცი უნდა იყოს..., რომელსაც დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცდილება აქვს, კარგად იცის ადამიანის გამოცნობა, და ამას ისიც უნდა დავუმატებ, რომ მოსამართლე უნდა იყოს კულტურული ადამიანი"... „მე არ მეეჭვება, რომ ამკამადაც და უახლოეს მომავალშიც სასამართლოს როლი გაიზრდება, გაიზრდება სასამართლოს როგორც აგიტატორ-პრომაგანდისტის, პარტიისა და მთავრობის დირექტივებისათვის, სოციალისტური კანონების და სახელმწიფო დისციპლინისათვის მებრძოლის როლი.

ამიტომ ამკამად ძალიან დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ კადრების შერჩევას, იუსტიციის ორგანოების ძირეული რეგულებისათვის მუშაობაში დახმარებას, სახალხო სასამართლოსათვის დახმარებას, უნდა გვახსოვდეს, თუ რა უდიდესი ალმზრდელობით მნიშვნელობა აქვს სახალხო სასამართლოს".

ეს მითითებანი უნდა გავითვალისწინოთ სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების კანდიდატურათა შერჩევისა და წამოყენების დროს.

სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება დაეთმნოა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას — მზადებას საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობისათვის, რომელიც 1949 წლის 25 იანვარს არის დანიშნული. საქართველოს მშრომელები ფართოდ გამოუხმარნენ თბილისის ათი მოწრნავე საწარმოს მოწოდებას — საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობას შეხვდნენ ახალი საწარმოო გამარჯვებებით. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ხელი უნდა შეეშუროთ მშრომელთა ფართო მასების შრომითის აღმავლობას ხუთწლიანი დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

საქართველოს მშრომელები განსაკუთრებული სიხარულით შეხვდნენ ცნობას, თუ რა ბრწყინვალე წარმატება მოიპოვეს ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელებმა, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა და იკისრეს მეოთხე სტალინური ხუთწლედის სამწლიწადნახევარში შესრულება. საქართველოს საწარმოთა მეშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ერთსულოვნად მიესალმებიან მოსკოველთა ამ პატრიოტულ თაოსნობას და თავის მხრივ ახალ ვალდებულებას კისრულობენ.

ჩვენი პარტიული ორგანოზაციების წინაშე ახალი ამოცანები დგას—სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის მზადების დღეებში კიდევ უფრო გაამლიერონ მასებში საგაგიტაციო-პოლიტიკური მუშაობა, დარაზონ ისინი არჩევნების ორგანიზებულად ჩასატარებლად და არჩევნების დღისათვის ახალ საწარმოო გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

1949 წლის 6 თებერვალი საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოებს არჩევნების დღეა, ეშვი არ არის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები არჩევნებისათვის მზადების დღეებში ამაოდენი თავიანთ პოლიტიკურ და საწარმოო აქტივობას, უფრო მეტიროდ დაარაზმენან ლენინ-სტალინის პარტიის უძველეული დროშის გარშემო და გასწევენ ერთ ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად კომუნიზმისათვის ძლევამოსილი ბრძოლის ნათელ გზაზე.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

აღგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნები 1949 წლის 6 თებერვალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გოგუა
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი შ. ეგნატაშვილი

1948 წ. 8 დეკემბერი. ქ. თბილისი.

მოსკოვს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია

7 დეკემბრის მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ა. ზაპოტოცკი, საგარო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. კლემენტისი, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ი. დოლანსკი, მრეწველობის მინისტრი ბ-ნი ა. კლიმენტი და სხვა ოფიციალური პირები.

ბელორუსიის ვაგზალზე ჩამოსულთ შეხვედნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის საგარო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, საბჭოთა კავშირის ელჩი ნ. ს. კონეკინი, სსრ კავშირის საგარო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე მ. ა. მეზინოკოი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვ. ბორამოვი, ქალაქ მოსკოვის კომეხლდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარო საქმეთა სამინისტროს მეოთხე ევროპული განყოფილების გამგე ა. მ. ალექსანდროვი, სსრ კავშირის საგარო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ა. ბუშუევი.

ჩამოსულთ აგრეთვე შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის საელჩოს წევრები და მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

ამავე დროს მოსკოს ჩამოვიდა სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში მ. ა. სილინი.

შეხვედრისას ჩამჭერავებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ვაგზალი მორთული იყო ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა ალმებით.

საზეგარეო დელეგაციას შეხვდნენ ვ. მოსკოვამდე გამოაცილეს სსრ კავშირის საგარო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოზოკოვი და ჩეხოსლოვაკიის ელჩი მოსკოვში ბ-ნმა ბ. ლაშტოვიჩამ. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ა. ზაპოტოცკის სიტყვა

მოსკოვს ჩამოსულნის ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ა. ზაპოტოცკი ვაგზალზე მიერთოფონთან გამოვიდა შემდეგი სიტყვით:

„ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო!

ბედნიერი ვარ, რომ ჩვენი მთავრობის დელეგაციის ჩამოსულისას შემიძლია მივესალმო მოსკოვისა და მთელი საბჭოთა კავშირის გმირ ხალხს.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ აღვნიშნავთ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას შორის შეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავს.

ეს ხელშეკრულება წარმოადგენს საფუძველს, რომელზეც ჩვენი ხალხის ტრადიციული დამოკიდებულება დიდი საბჭოთა კავშირისადმი უფრო განმტკიცდა მეგობრული კავშირით.

მძლავრ საბჭოთა კავშირთან კავშირმა საფუძველშივე შესცალა ჩვენი ხალხის ბედი, ჩვენი ერის ბედი.

გმირმა საბჭოთა არმიამ გერმანიის ფაშიზმზე თავისი სახელოვანი გამარჯვებით გაათავისუფლა სლოვაკია და ჩეხია, დაიცვა პრაღა და განდევნა დამპყრობლები ჩვენი სამშობლოდან. ამით ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა დავდგომოდით ახალი სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შენებლობის ახალ ბანს.

მიმდინარე წლის თებერვლის დღეებში კომუნისტური პარტიისა და ჩვენი პროფსაფუძლის ამხანაგ კლიმენტ გოტვალდის ხელმძღვანელობით ჩეხისა და სლოვაკიის მშრომელებმა დამსხვრიეს ჩვენი და ოცდოვთის ოქტომბერი ინტრიგები, განამტკიცეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში თავიანთი სახალხო ხელისუფლება და ამით გაანმტკიცეს ძმური კავშირი საბჭოთა კავშირის ხალხებთან.

ჩვენი ხელშეკრულებანი თანმიმდევრულად სრულდება. კულტურული, ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა ფართოვდება. ისინი გვეხმარებიან აღმოვფხვრათ ომის ნგრევის შედეგები და ავაგოთ ჩვენი გეგმანი მეურნეობა.

დარწმუნებული ვართ აგრეთვე, რომ ეს ჩამოსვლა და მოლაპარაკება უფრო მეამბიდრორეგენენ დიდი საბჭოთა კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის მეგობრობისა და სამკაცვირეო ურთიერთობას.

დარწმუნებული ვართ, რომ დემოკრატიული ბანაკის მძლავრი ძალები საბჭოთა კავშირის მეთაურობით, რომელმაც ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესაბ ამ გადამწყვეტ წელს ასალი დიდი ეკონომიური და პოლიტიკური გამარჯვებანი მოიპოვა, ძარს გამოუთხრიან ომის გამჩაღებელთა გეგმებს და შეინარჩუნებენ მშვიდობას. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის დახმარება შესაძლებლობს მოგვეცემს მომავალშიც მშვიდად განვავრცოთ მშენებლობა და მომეშმდგენ ამ ნაბიჯ-ნაბიჯ ძმური კავშირი საბჭოთა კავშირის ხალხებთან.

ჩვენი ხელშეკრულებანი თანმიმდევრულად სრულდება. კულტურული, ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა ფართოვდება. ისინი გვეხმარებიან ომის ნგრევის შედეგები და ავაგოთ ჩვენი გეგმანი მეურნეობა.

დარწმუნებული ვართ აგრეთვე, რომ ეს ჩამოსვლა და მოლაპარაკება უფრო მეამბიდრორეგენენ დიდი საბჭოთა კავშირისა და ჩვენი რესპუბლიკის მეგობრობისა და სამკაცვირეო ურთიერთობას.

დარწმუნებული ვართ, რომ დემოკრატიული ბანაკის მძლავრი ძალები საბჭოთა კავშირის მეთაურობით, რომელმაც ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესაბ ამ გადამწყვეტ წელს ასალი დიდი ეკონომიური და პოლიტიკური გამარჯვებანი მოიპოვა, ძარს გამოუთხრიან ომის გამჩაღებელთა გეგმებს და შეინარჩუნებენ მშვიდობას. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის დახმარება შესაძლებლობს მოგვეცემს მომავალშიც მშვიდად განვავრცოთ მშენებლობა და მომეშმდგენ ამ ნაბიჯ-ნაბიჯ ძმური კავშირი საბჭოთა კავშირის ხალხებთან.

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა ხალხების ურთვეგ მეგობრობასა და კავშირს!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკას და მის პრეზიდენტს ამხანაგ გოტვალდს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს და მის ხელმძღვანელს, ჩვენს მეგობარსა და მასწავლებელ ამხანაგ სტალინს!" (საკდესი).

თბილისის მრეწველობის II თვის მუშაობის შედეგები

შეჯამებულია 1948 წლის განვლილ 11 თვეში თბილისის მრეწველობის მუშაობის შედეგები.

ქალაქის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა ნოემბერში შეასრულა 107,7 პროცენტით, ხოლო 11 თვის გეგმა—103,4 პროცენტით.

გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის ზრდა შეადგინა 12,1 პროცენტს.

საერწო კოოპერაციის არტელებმა 11 თვის გეგმა შეასრულეს 104,1 პროცენტით, ხოლო ინვალიდთა კოოპერაციის არტელებმა 96,9 პროცენტით.

ცალკე სამინისტროების თბილისის საწარმოებმა 11 თვის გეგმა შეასრულეს შემდეგნაირად:

საკავშირო მრეწველობის	112,8 პროც.
სამენ მასალათა მრეწველობის	113,9 „
სოციალური უზრუნველყოფის	113,5 „
ადგილობრივი მრეწველობის	108,1 „
საფეიქრო მრეწველობის	107,0 „
ავტოტრანსპორტის	104,9 „
ყვავის მრეწველობის	103,7 „
სატყეო მრეწველობის	103,6 „
მსუბუქი მრეწველობის	102,0 „
ხორცისა და რძის მრეწველობის	96,4 „

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოებმა 11 თვის გეგმა შეასრულეს 121,5 პროცენტით და პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოებმა—108,8 პროცენტით.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ნაციონი ვალდებულებანი მრეწველობისათვის სახელმწიფო გეგმის გადამეტებით 3.500 ტონა ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების შესახებ. მოკრეფილია და ჩაბარებულია გეგმის გადამეტებით 4.778 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. სულ 1948 წლის ფაბრიკებს ჩაბარდა 10.477 ტონით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე 1947 წელს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი
საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი
საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. ალავიძე

მოსკოველთა წარმატებანი საქართველოს მრეწველობის მუშაკებს აღაფრთოვანებენ ახალი შრომითი მამაცობისათვის!

ხუთწლედი — სამნახევარ წელიწადში

თბილისის სარეკლამოველო დეპოს მუშები, ოსტატები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები შეიკრიბნენ სახელდახელო მიტინგზე, რათა გაეხარეთათ მოსკოველთა და მოსკოველ ოლქის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წერილი ამხანაგ სტალინისადმი.

— დღეს გაზეთებმა სსსახოლოდა ამბავი გვამცნეს, — თქვა მიტინგზე დეპოს პარტორგანიზაციის მდივანმა ვ. ლეონასამბამ, — ჩვენი უძველეული სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქისა და მისი ოლქის მშრომელები აღფრთოვანებულ ბრძოლაში ბერიოზოვა ს. სასაბამ, დამამზადებელი საამქროს უფროსმა ინჟინერმა ვ. ზატიკოვამ, მექანიკოებმა ნ. გიულნამელმა, მ. ლატვინო

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მორიგმა პლენუმმა განიხილა კოლმეურნეობებში წლიური ანგარიშების შედგენისა და 1948 წლის მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილების საკითხი. მოხსენება გააკეთა აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. გ. ბერულავამ. მან გააშუქა ის მიღწევები, რომლებიც მოპოვებულია კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-პოლიტიკური განმტკიცებისა და შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად, ამასთან ყურადღება გაამახვილა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით მოსავლისა და შემოსავლის განაწილების საქმეში. რესპუბლიკის 308 კოლმეურნეობიდან, — თქვა მან, — მოსავლის განაწილების სქემა წარმოდგენილი აქვს მხოლოდ 54-ს. გულრიფშის და გუდაუთის რაიონებში დამთავრებული არ არის ინვენტარიზაცია და სუსტად ემზადებიან მოსავლის განაწილებისათვის, ოჩამჩირის რაიონში კი მოსავლის საბოლოო განაწილებისათვის მზადებაც არ დაუწყიათ.

ამხ. ბერულავას მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ჰექიამ (გალის რაიონი), ნ. გვილავამ (ოჩამჩირის რაიონი), ა. ბერიამ (სოხუმის რაიონი), ნ. ჩხეტიამ (გაგრის რაიონი) და სხვ.

პლენუმზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. მგელაძე.

პლენუმის გადაწყვეტილებით აფხაზეთის XVIII საოლქო პარტიული კონფერენცია მოწვეულ იქნება 1949 წლის 15 იანვარს.

რაიონულ პარტკონფერენციებზე

წულუკიძე

შედგა წულუკიძის რაიონული პარტიული კონფერენცია. კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ობოლაძემ.

— რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, — თქვა მან, — ერთგვარად გააუმჯობესეს ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისადმი. იზრდება კომუნისტთა ავანგარდული როლი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღო 14 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიონული კომიტეტის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად.

კონფერენციამ აირჩია რაიონული კომიტეტის, სარევიზიო კომისიის შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ობოლაძე, მეორე მდივნად — ამხ. ი. ქამიბაძე, მდივნად კადრების დარგში — ამხ. დ. გახოკიძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის მინისტრმა ამხ. ლ. რუხაძემ.

ჩხოროწყუ

ჩხოროწყუს რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. მ. პაჭკორიამ, რომელმაც ილაპარაკა იმ წარმატებათა შესახებ, რაც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით რაიონის მშრომელებმა მოიპოვეს სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში. აღნიშნა რა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებაში მოპოვებული მიღწევები, მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა პირველადი პარტორგანიზაციების პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში, — თქვა მან, — პირველადი პარტორგანიზაციების მნიშვნელოვანმა ნაწილმა საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ვ. კვარაცხელიას მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 14 ამხანაგმა. კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი მრეწველობის განყოფილების გამგემ ამხ. გ. ქარჩავამ.

კონფერენციამ რაიონული კომიტეტის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად და მიიღო სათანადო დადგენილება შემდგომი მუშაობისათვის.

კონფერენციამ აირჩია საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

რაიკომის პლენუმმა საქართველოს კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. მ. პაჭკორია, მეორე მდივნად — ამხ. ა. წანწაკაია, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ა. მორგოშია.

გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა კადრების აღზრდისადმი

უნივერსიტეტის პარტიულ კონფერენციაზე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ბახტაძემ.

— ამხანაგ სტალინის მითითებათა და იდეოლოგიურ საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე, — თქვა მან, — უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია მტკიცედ ხელმძღვანელობს კადრების მომზადების, მათი პოლიტიკური გამობრძმედისა და მომწიფებულ მარქსისტ-ლენინელებად აღზრდის საქმეს.

კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების ძირითად მეთოდს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობა წარმოადგენს. 855 კომუნისტი დამოუკიდებელი მუშაობით იმაღლებს თეორიული ცოდნის დონეს, მათ შორის, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს სწავლობს 125 კომუნისტი, სოციალიზმის პოლიტიკურ ეკონომიას —42.

წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების დასახმარებლად სისტემატურად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები, კონსულტაციები, თემატიკური ექსკურსიები. საანგარიშო პერიოდში ფაკულტეტთა პარტიულმა ორგანიზაციებმა მოაწყეს 129 ლექცია-მოხსენება, რომლებიც უმთავრესად იკითხებოდა ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე.

კადრების თეორიული დონის ამაღლებას ემსახურება უნივერსიტეტთან მომუშავე ლექტორიუმი. ლექტორიუმის მუშაობას წინათ სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა. მის თემატიკაში შედარებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი ლექციები ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე. ეს ნაკლი ჩვენ გამოვასწორეთ. ლექტორიუმში ერთი წლის მანძილზე 102 ლექცია-მოხსენებაა წაკითხული.

ლექციური პროპაგანდის დარგში ზოგიერთი ფაკულტეტის პარტიულ ორგანიზაციას სერიოზული ნაკლი აქვს. შედარებით ნაკლებად ეწყობა ლექცია-მოხსენებები წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის იურიდიული, ფილოლოგიური, გეოგრაფია-გეოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტების პარტიულ ორგანიზაციებში.

პარტიული ორგანიზაციები ხშირად აწყობენ ჯგუფურ თეორიულ გასაუბრებას და კონსულტაციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა და კაბინეტი ჯერ კიდევ არასაკმაო დახმარებას უწევენ პარტიულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მუშაობაში.

უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ საგრძნობლად გააუმჯობესა სასწავლო-პედაგოგიური მუშაობისადმი ხელმძღვანელობა. სტუდენტი ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ეუფლება მეცნიერების მონაპოვრებს. გასულ წლებთან შედარებით შესამჩნევად გაიზარდა სტუდენტთა აკადემიური წარმატების პროცენტი. კომუნისტები სწავლაში მოწინავენი არიან.

ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის აგვისტოს სესიის გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციები ფართოდ გამოეხმაურნენ. გადაისინჯა სასწავლო პროგრამები, ჩატარდა კათედრების სპეციალური სხდომები, ფართოდ გაჩაღდა მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების პროპაგანდა, ლექტორიუმში მოეწყო რამდენიმე ლექცია, ჩატარდა დიალექტიკური მატერიალიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმის და პოლიტიკური ეკონომიის კათედრების გაერთიანებული სხდომა ბიოლოგიის ფაკულტეტის მეცნიერ მუშაკთა მონაწილეობით, დაწყებულია მუშაობა ტიმირიაზევის, მიჩურინის, ლისენკოს შრომებისა და მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი პოპულარული წიგნების გამოსაცემად.

მომხსენებელი ეხება ასპირანტურის მუშაობის საკითხებს. ასპირანტურაში სწავლობს 117 კაცი. მათ შექმნილი აქვთ სწავლის ყველა პირობა. მიუხედავად ამისა ასპირანტებთან მუშაობის მხრივ ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ასპირანტთა შორის ფართოდ არ არის გაშლილი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, კათედრები ხშირად არ ისმენენ ცალკეული ასპირანტების სამეცნიერო მუშაობის ანგარიშს, არ ეწყობა ასპირანტთა რეფერატები და სამეცნიერო მოხსენებები.

სტუდენტთა აკადემიური წარმატების ამაღლებისათვის ფაკულტეტების პარტიული ორგანიზაციები არასაკმაოდ იბრძვიან. ესეც არის მიზეზი, რომ ჯერ კიდევ დიდია სტუდენტთა აკადემიური დავალიანება, ადგილი აქვს ლექციების გაცდენას.

უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია 4167 კომკავშირელს აერთიანებს. ფაკულტეტთა კომკავშირული ორგანიზაციები და კომკავშირის კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევენ კომკავშირის რიგების ზრდას, კომკავშირელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, სამხედრო-ფიზკულტურულ მუშაობას. კომკავშირულ ორგანიზაციებს ნაკლიც აქვთ მუშაობაში. გაუმჯობესებას მოითხოვს კომკავშირული აქტივის სწავლების საქმე. საჭიროა უფრო ხშირად მოეწყოს ლექციები და საუბრები ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის, მიმდინარე პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებზე.

მომხსენებელი ლაპარაკობს პარტიაში მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტთა შორის მუშაობის, პარტიული კრებების მომზადება-ჩატარების პრაქტიკაზე, პარტიული მეურნეობის მოწესრიგების საკითხებზე.

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. კვანჭიანი შეეხო კომუნისტების პოლიტიკური განათლების საკითხებს და განაცხადა, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს ზრუნვა კადრების, კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის. ამხ. კვანჭიანმა კონფერენციის ყურადღება გაამახვილა აგრეთვე დისციპლინის განმტკიცების საკითხებზე.

ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა, სტუდენტმა ამხ. ა. მაჭარაშვილმა გააკრიტიკა პარტიული კომიტეტის მუშაობა. მან ფაქტებით ცხადყო, რომ პარტიული კომიტეტი ახლოს არ დგას ფაკულტეტის პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან. ამხ. მაჭარაშვილმა გააკრიტიკა ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის (გამგე პროფესორი ს. დანელია) მუშაობა. პარტიულმა კომიტეტმა, — თქვა მან, — მიიღო დადგენილება კათედრის მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ხოლო ამ დადგენილების განსახორციელებლად თითქმის არაფერი გაკეთებულა.

სტუდენტი ამხ. ბ. კაპანაძე შეჩერდა პარტიული კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებზე და აღნიშნა, რომ პარტიული კომიტეტი ყურადღებას არ აქცევს მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას, საწევრო ანარიცხების აკრეფას. პარტიული კომიტეტი არ ეხმარება პროფესიულ ორგანიზაციას, არ ზრუნავს შორეული რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტების საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებისათვის, რუსული ენის შესწავლა თვითდინებაზეა მინდობილი.

კონფერენციის მონაწილენი ვერ დააკმაყოფილა იურიდიული ფაკულტეტის პარტბიუროს მდივნის ამხ. მ. ნადირაძის გამოსვლამ. მან ვერ გამოიჩინა კრიტიკისადმი ბოლშევიკური დამოკიდებულება. ამხ. ნადირაძემ ფაკულტეტის პარტბიუროს მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი მთლიანად პარტიულ კომიტეტს გადააბრალა.

დოცენტმა ამხ. ა. ქუთელიამ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებისადმი ლიბერალური მიდგომის შემთხვევები. ზოგჯერ სადისერტაციო შრომებში უამრავი მცდარი დებულებებია წამოყენებული, ავტორებს კი მაინც ანიჭებენ ხარისხს.

უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა ილაპარაკა უნივერსიტეტში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების, მაღალკვალიფიციური და იდეურად შეიარაღებული კადრების აღზრდის საკითხებზე.

— ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები, — თქვა მან, — ზოგჯერ ლიბერალიზმს იჩენენ სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში და ამით მათ ცუდ სამსახურს უწევენ. ყოველთვის არ ხდება დაბეჭდილი და დაუბეჭდავი წიგნების გარჩევა, ამიტომ მათში უამრავი შეცდომებია.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე გ. ყურაშვილი, გ. ქოჩორაძე, შ. შელია, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჯ. ლომაშვილი.

კონფერენციამ პარტიული კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

ფარული კენჭისყრით აირჩიეს პარტიული კომიტეტი 11 კაცის შემადგენლობით და დელეგატები რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე გასაგზავნად.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. ა. ჯიშიაშვილმა და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. თ. ქვლივიძემ.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის მისალმება უკრაინის მწერლებისადმი

6 დეკემბერს კიევში გაიხსნა უკრაინის მწერალთა მეორე ყრილობა.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ ყრილობას მიმართა ძმური მისალმებით და უხურვა წარმატებით მუშაობა.

„ჩვენ სიხარულით აღვნიშნავთ, რომ უკრაინის საბჭოთა ლიტერატურაში თანამედროვე თემებზე შეიქმნა მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი, რომლებიც საჭიროა ხალხისათვის და რომლებიც მას აღაფრთოვანებენ დიად ბრძოლაში სოციალისტური სამშობლოს განმტკიცებისა და აყვავებისათვის, კომუნიზმისათვის, — ნათქვამია მისალმებაში. — ჩვენ ვულოცავთ უფროს თაობათა უკრაინელ მწერლებს ახალ შემოქმედებითს წარმატებას და მხურვალედ მივესალმებით უკრაინულ ლიტერატურაში ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების ფართო ნაკადს“.

მისალმების დასასრულს სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა წერს:

— მხურვალედ გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ-ახალ გამარჯვებას ლიტერატურაში ლენინურ-სტალინური ბოლშევიკური პრინციპების განმტკიცებისათვის, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ღრმად დაუფლებისათვის, სტალინური ეპოქის ნამდვილად შესაფერის ნაწარმოებთა შექმნისათვის ბრძოლაში... (საკდესი).

„ვეჩერნაია მოსკვას“ იუბილე

7 დეკემბერს შედგა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს გაზეთ „ვეჩერნაია მოსკვას“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

კონსერვატორიის დიდ დარბაზში თავი მოიყარა 2 ათასზე მეტმა მოსკოველმა. აქ იყვნენ საწარმოთა სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწენი, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, ჟურნალისტები, სტუდენტები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ნ. ნ. დანილოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილენი ი. პ. პროცეროვი და ნ. პ. პოლოტნიკოვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის მდივანი პ. ი. ლეონოვი, ცენტრალური გაზეთების რედაქტორები, მუშკორები.

ტაშის გრიალში საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენება „ვეჩერნაია მოსკვას“ 25 წლისთავის შესახებ გააკეთა გაზეთის რედაქტორმა ამხ. გ. ა. მეშჩერიაკოვმა.

მოსკოვის საბჭოს აღმასკომის სახელით „ვეჩერნაია მოსკვას“ რედაქციას მიულოცა ამხ. პ. ი. ლეონოვმა. მან გამოაქვეყნა მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება რედაქციის მუშაკთა დიდი ჯგუფის მოსკოვის საბჭოს საპატიო სიგელებითა და „ქალაქ მოსკოვის საქალაქო მეურნეობის წარჩინებულის“ ნიშნით დაჯილდოების შესახებ.

იუბილარს მიესალმნენ — გაზეთ „პრავდის“ მუშაკთა კოლექტივისაგან — ამხ. ზასლავსკი, გაზეთ „მოსკოვსკი ბოლშევიკისაგან“ ამხ. საუტინი, სტალინის სახელობის ავტოქარხნის მუშაკორებისაგან — ამხ. აგაპოვა, ქალაქის ინტელიგენციისაგან — ამხ. ჩიჩულინი, დედაქალაქის სტახანოველებისაგან — ელექტრონათურების ქარხნის ოსტატი ამხ. ხრისანოვა.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (საკდესი).

სტანდარტული სახლის ახალი პროექტი

სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ფილიალის ქალაქთა მშენებლობის ინსტიტუტში სტალინური პრემიის ლაურეატის ს. ვ. ვასილკოვსკის ხელმძღვანელობით შემუშავებულია ახალი სტანდარტული სახლის პროექტი.

ამ შენობის კედლები აიწყობა ფარებისაგან. მათ აკეთებენ წყალგამძლე ფანერისაგან, რომელსაც დატანებული აქვს საიზოლაციო ფენა. შიდა მხარე იფარება ბაკელიტური აფსკით, რომელიც ცვლის შპალერს.

შენობა თბება წყლის ღუმელით, იგი შედგება საცეცხლესაგან, რომელზეც დადგმულია წყლიანი ქვაბი. სხვა ოთახებში კი ლამაზი პატარა კარადებია, რომლებსაც საცეცხლე არა აქვთ. ცხელი წყალი, რომელიც მილებში მოძრაობს, გაივლის ამ კარადებში და ათბობს ოთახს.

სახლის ყველა დეტალი, ელექტროგაყვანილობა და წყალმომარაგება პროექტის მიხედვით სახლთმშენებელ კომბინატებში უნდა დამზადდეს.

საცდელ სახლს, რომელიც სატყეო ტექნიკური აკადემიის სახელოსნოებში მზადდება, ააგებენ ზელენოგორსკში და გამოცდის შემდეგ გადაიცემა წარმოებაში.

პრესის მიმოხილვა

გაზეთი კარგად აშუქებს პარტიულ ცხოვრებას

„მებრძოლი“ — საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო.

მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახული ამოცანების შესრულებისათვის დაუღალავად იბრძვიან ზუგდიდის რაიონის მშრომელები, რომლებმაც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით თვალსაჩინო წარმატებანი მოიპოვეს. დასახული ამოცანების შესრულებაში ზუგდიდის რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს სერიოზულ დახმარებას უწევს გაზეთი „მებრძოლი“ (რედაქტორი ა. ქეცია). გაზეთი მტკიცედ უდგას სათავეში პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკთა სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების პოპულარიზაციის საქმეს, დაღებითი მაგალითების ჩვენებით, ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკით ეხმარება კომუნისტებს მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში.

გაზეთი დიდ ადგილს უთმობს კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური მომზადების საქმეს, თითქმის ყოველ ნომერში აშუქებს ამ საკითხს. 2 ოქტომბერს გაზეთის სპეციალური ნომერი მიეძღვნა ი. ბ. სტალინის წიგნის „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლის ათი წლის თავს.

მოწინავე წერილში გაზეთი აშუქებს „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მნიშვნელობას ჩვენი კადრების ბოლშევიკურად აღზრდისათვის. შემდეგ გაზეთი ბეჭდავს ამონაწერებს „მოკლე კურსიდან“ სათაურით: „რას გვასწავლის საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია?“. ამას მისდევს წერილები პარტიული პროპაგანდის პრაქტიკულ საკითხებზე.

ყურადღებას იპყრობს 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია იდეოლოგიური მუშაობის საკითხზე. სტატიის ავტორია საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი გ. ჩაჩიბაია.

რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში, — წერს ამხ. ჩაჩიბაია, — 3.700 კომუნისტი ირიცხება. „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ დამოუკიდებლად 1.493 კომუნისტი სწავლობს. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად წაკითხულ იქნა 187 ლექცია, ჩატარდა 129 ჯგუფური კონსულტაცია და 75 თეორიული საუბარი. მიმდინარე წელს საგრძნობლად გაუმჯობესდა „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ და ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების მუშაობა.

გაზეთი საქმიანად გამოეხმაურა პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებას. წერილებში „დაიწყო ახალი სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში“ (№ 122), „პოლიტსკოლის მეცადინეობაზე“, „სასწავლო წელს მომზადებული შეხვდნენ“, „მეცადინეობა ორგანიზებულად დაიწყო“ (№ 130) კარგად არის გადმოცემული ახალი სასწავლო წლის პირველი დღეების შედეგები.

გაზეთი განუხრელად იბრძვის საავიტაციო მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის. წერილში „როცა პოლიტიკურ აგიტაციას არ აფასებენ“ (№ 85) ნათქვამია, რომ სოფელ განმუხურის ტერიტორიულ პირველად პარტორგანიზაციაში სათანადოდ ვერ აფასებენ პოლიტიკური აგიტაციის მნიშვნელობას სოფლად. მოსახლეობაში არ ტარდება საუბრები, ჩამლილია აგიტკოლექტივის მუშაობა, ბრიგადებში არ გამოდის საველე გაზეთები და სხვა. პარტორგანიზაციის მდივანი ა. საჯაია და მისი მოადგილეები გულდამშვიდებით შეჰყურებენ ამ მდგომარეობას. ასევე კრიტიკული ხასიათისაა ტ. ქირიას წერილი „მეტი ყურადღება საავიტაციო მუშაობას“ (№ 97).

„პარტიული კრება კომუნისტების ბოლშევიკური აღზრდის საუკეთესო სკოლაა. კარგად მომზადებული პარტიული კრება უდიდეს მაორგანიზებელ როლს ასრულებს მთელ შინაპარტიულ მუშაობაში“, —

— წერს გაზეთი მოწინავე წერილში (№ 83). ამავე მოწინავეში ნაჩვენებია პარტიული კრების მომზადების რამდენიმე კარგი მაგალითი. შემდეგ გაზეთი მიუდგომლად აკრიტიკებს სოფელ რუხის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის ბიუროს. აქ ადგილი აქვს პარტიული კრებების მოუმზადებლად ჩატარების შემთხვევებს. გაზეთი დაასკვნის:

„უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული კრება ზრდის კომუნისტებს ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით, აჩვევს კრიტიკასა და თვითკრიტიკას, საკითხების სწორად გადაწყვეტას. ამიტომ პარტიული კრებების გულდასმით მომზადება პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროებისა და მდივნების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს“.

გაზეთი ფართოდ და შინაარსიანად აშუქებს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობას.

„წერილში „როცა კონტროლის უფლებას არ ახორციელებენ“ (№ 142) გაკრიტიკებულია სოფელ ანაკლიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის ამხ. ვ. ახალაიას მუშაობა, რომელმაც საანგარიშო მოხსენებაში არაფერი თქვა კოლმეურნეობის გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების განხორციელებაზე. ანალიზს უკეთებს რა საანგარიშო-საარჩევნო კრებების მიმდინარეობას, გაზეთი ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს სწორად მოაწყონ ანგარიშები და არჩევნები.

გაზეთს მხედველობიდან არ რჩება ძირეული პრესისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების საკითხები.

მოწინავე წერილში „გავაუმჯობესოთ ხელმძღვანელობა ძირეული პრესისადმი“ (№ 85) გაზეთი მიუთითებს ძირეული პრესის მუშაობის როგორც დადებით მხარეებზე, ისე ნაკლოვანებებზე.

„პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურ დახმარებას უნდა უწევდნენ ძირეულ პრესას. საჭიროა ყოველმხრივ ავამაღლოთ ძირეული პრესის როლი და ავტორიტეტი, გადავაქციოთ ის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლ თანაშემწედ“, —

ნათქვამია მოწინავე წერილში. ამავე ნომერში დაბეჭდილია ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კედლის გაზეთის „ნარაზენის ჩაის“ მიმოხილვა.

გაზეთ „მებრძოლის“ რედაქცია არ უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეულით. მისი მოვალეობაა უფრო უკეთესად, უფრო ფართოდ, უფრო მრავალფეროვნად გააშუქოს პარტიული ცხოვრება, აამაღლოს საგაზეთო მასალების ხარისხი.

ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის ჩამტარებელ საიუბილეო კომიტეტში

ამ დღეებში შედგა ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის ჩამტარებელი საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

საიუბილეო რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისათვის სახელგამი გამოსცემს ა. ს. პუშკინის რჩეული ნაწერების ერთტომეულს, საბლიტგამი — პუშკინის ზღაპრებს, თეატრალურ საზოგადოებასთან არსებული გამომცემლობა „ხელოვნება“ — პუშკინის დრამებს, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ — ნარკვევს პუშკინის შესახებ (რუსულ ენაზე); იმავე წიგნს ქართულ ენაზე გამოსცემს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.

საიუბილეო კომიტეტმა აირჩია სარედაქციო კომისია — ს. ჩიქოვანის, გ. ჯიბლაძის, შ. დადიანის, კ. ჭიჭინაძის, ლ. ასათიანის და ს. დანელიას შემადგენლობით. კომისიას დაევალა შეიმუშაოს და წარუდგინოს კომიტეტს პუშკინის ნაწერების საგამომცემლო გეგმა. გამოსაცემად მზადდება აგრეთვე ნარკვევი რუსულ და ქართულ ენებზე — „პუშკინი საქართველოში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო ამუშავებს ა. ს. პუშკინის იუბილისადმი მიძღვნილი სპექტაკლების ჩატარების გეგმას.

საიუბილეო დღეებში თბილისში გაიხსნება ა. ს. პუშკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენის მომწყობ კომისიაში არიან: ვ. ტატიშვილი, გ. ლეონიძე, გაბრიჩიძე, ბადრიაშვილი და ა. აფაქიძე.

1949 წლის 6 ივნისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში შედგება ა. ს. პუშკინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

ქართული ცეკვის ანსამბლის დაბრუნება

რუმინეთის ქალაქებში ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა საქართველოს სს რესპუბლიკის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი რესპუბლიკის სახალხო არტისტ ი. სუხიშვილისა და რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ნ. რამიშვილის მხატვრული ხელმძღვანელობით.

ანსამბლი გამოდიოდა რუმინეთის დიდ ქალაქებში, კონცერტებს აწყობდა უშუალოდ ფაბრიკებისა და ქარხნების საამქროებში. რუმინეთის მოსახლეობა ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდა საბჭოთა არტისტებს.

ერთი თვის განმავლობაში მოწყობილ იქნა 37 კონცერტი, რომლებსაც 100 ათასამდე კაცი დაესწრო. (საკდესი).

ორპროცენტიანი სესხის მოგებათა ტირაჟი

ნოვოსიბირსკში გაიგზავნა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ვაგონი სატირაჟო მოწყობილობით. აქ 15 დეკემბერს შედგება 1948 წლის სახელმწიფო ორპროცენტიანი სესხის მოგებათა მეორე ტირაჟი.

გათამაშებულ იქნება 447.494.400 მანეთის 918.000 მოგება. მოგებათა შორის არის 50 ათას მანეთიანი 144 მოგება, 25 ათას მანეთიანი 720 მოგება, 10 ათას მანეთიანი 1.800 მოგება, 5 ათას მანეთიანი 3.600 მოგება და სხვ. (საკდესი).

ა. წ. 10 დეკემბერს მოწვეულია საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის პლენუმი აქტივთან ერთად.

დღის წესრიგშია:

1. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილების შესახებ საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მოხსენების გამო.

მოსწავლეთა მუსიკალური აღზრდის საქმის უკეთესად მოწყობისათვის

საბჭოთა სკოლის წინაშე დასახულ ამოცანათა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია ახალ თაობაში სიმღერისა და მუსიკალურ ჩვევათა გამომუშავებას. ბავშვთა მუსიკალური აღზრდა ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდის დიადი ამოცანის განუყრელი ნაწილია და მის საუკეთესოდ დაყენებას საბჭოთა სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სკოლები აკმაყოფილებდნენ ბავშვთა ინტერესს სიმღერისა და მუსიკისადმი. სკოლების სასწავლო გეგმისა და პროგრამების მიხედვით მუსიკა-სიმღერის სწავლება გათვალისწინებულია დაწყებითს კლასებში, ხოლო უფროს კლასებში ამ საგნის შესწავლა წარმოებს კლასგარეშე მუშაობის გზით.

დაწყებითს სკოლაში მუსიკა-სიმღერის სწავლება მიზნად ისახავს აამაღლოს მოსწავლეთა ზოგადი განვითარების დონე, განუვითაროს მუსიკალური გემოვნება, შეასწავლოს მუსიკალური მეტყველება, ჩაუნერგოს მუსიკისადმი ინტერესი და სიყვარული.

დაწყებითი სკოლის პროგრამაში შედის გუნდური სიმღერა, როგორც საფუძველი მთელი მუსიკალური მუშაობისა, რომელშიც მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ და ამჟღავნებენ თავიანთ მხატვრულ შემოქმედებითს ნიჭსა და უნარს. აქვე გათვალისწინებულია მუსიკის მოსმენა, მუსიკალური ანბანი და სხვ. ასეთ მოთხოვნებს აყენებს დაწყებითი სკოლის მუსიკის პროგრამა. რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ხშირად მუსიკა-სიმღერას დაწყებითს კლასებში არასპეციალისტები ასწავლიან, რაც სასურველ შედეგს ვერ იძლევა. ამასთან მუსიკა-სიმღერისათვის სასწავლო გეგმით განკუთვნილ საათებს ხშირად სხვა საგნებისათვის იყენებენ.

ჩვენს სკოლებში მუსიკალური განათლების არასაკმაო დონის ნათელსაყოფად ისიც კმარა, თუ ვიტყვით, რომ თბილისის 85 სკოლაში გვყავს მუსიკის მხოლოდ 59 მასწავლებელი, რომელთაგან სპეციალური მუსიკალური განათლება აქვს 42-ს.

არ შეიძლება იმის მტკიცება, თითქოს მუსიკის სწავლებისათვის ჩვენს სკოლებში, განსაკუთრებით ქალაქის სკოლებში, სათანადო მატერიალური ბაზა არ იყოს. მაგალითისათვის ავიღოთ ისევ თბილისის სკოლები, რომლებსაც თავიანთ განკარგულებაში აქვთ ორმოცდაშვიდი პიანინო, თხუთმეტი როიალი და სხვადასხვა სახის მუსიკალური ინსტრუმენტი. მუსიკის სწავლებისათვის საჭირო ეს მატერიალური ბაზა სავსებით საკმარისი იქნება, თუ მას რაციონალურად გამოვიყენებთ.

მუსიკალური და ვოკალური კადრების მომზადების საქმეს ჯერჯერობით მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს. ახალგაზრდა კომპოზიტორებისა და მუსიკოსების მომზადების დროს სათანადო ყურადღება არ ექცევა ხალხური მხატვრული შემოქმედების შესწავლას. კონსერვატორიაში სტუდენტთა ახალი კონტინგენტის შერჩევისა და მიღებისას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა შემსვლელთა პროფესიულ მონაცემებს. ჯერ კიდევ არ არის გამოცემული ქართული მუსიკალური შემოქმედების სწავლებისათვის საჭირო პროგრამები და სახელმძღვანელო. საშუალო მუსიკალური სასწავლებლების მოსწავლეების, აგრეთვე ვოკალური და ინსტრუმენტალური ფაკულტეტების სტუდენტთა შერჩევა ხდებოდა უგეგმოდ და ინდივიდუალური შერჩევის პრინციპის დარღვევით.

მუსიკალური და ვოკალური კადრების მომზადების დარგში არსებული ეს ნაკლოვანებანი გაითვალისწინეს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა და მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დასახეს მათ გამოსასწორებლად.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი სემინარები ქალაქ თბილისისა და რაიონების მუსიკალური სკოლებისა და სასწავლებლების პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ სემინარში მუსიკოსი პედაგოგები კვალიფიკაციას აიმაღლებენ როგორც თავიანთი სპეციალობის, ისე მუსიკალურ-თეორიულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დარგებში.

მიმდინარე სასწავლო წელს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სკოლაში (ათწლედში) მუშაობს საგუნდო განყოფილება. მიღებულია ზომები კონსერვატორიის სადირიჟორო-საგუნდო განყოფილების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დიდი მნიშვნელობა აქვს თბილისის უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სკოლების მხატვრულ თვითმოქმედებითს კოლექტივებში ვაჟების ხმების შემოწმებას ვოკალური ნიჭის მქონეთა გამოსავლინებლად. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება სწავლისაგან მოუწყვეტლივ ისწავლონ სიმღერა და მუსიკა.

მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში სპეციალური კომისიების სისტემატურად მივლინება ადგილებზე მუსიკის ნიჭის მქონე ახალგაზრდობის გამოსავლინებლად.

მუსიკალური და ვოკალური კადრების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკალურ სასწავლებლებში ქართული მუსიკის ისტორიის კურსის სწავლების შემოღებას, პედაგოგების სამეცნიერო - პედაგოგიურ მივლინებებს მოსკოვსა და ლენინგრადში მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

საქართველოს სამასწავლებლო ინსტიტუტებსა და პედაგოგიურ სასწავლებლებში შემოღებულია საგუნდო სიმღერისა და სოლოს ფაკულტატური კურსი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაკისრებული აქვს გადაჭრით გააუმჯობესოს სიმღერის სწავლა საშუალო და არასრულ საშუალო სკოლებში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო ყოველწლიურად მოაწყობენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სიმღერის მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს, 1949 წლის 1 იანვრამდე დაამუშავებენ და გამოსცემენ მუსიკისა და სიმღერის სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებისათვის.

მომავალ, 1949 წელს, ასი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, აგრეთვე მუსიკალური სკოლები და სასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნებიან მუსიკალური ინსტრუმენტებით და სახელმძღვანელოებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტს და საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირს დავალებული აქვთ შეადგინონ მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა დარგების ელემენტარული სახელმძღვანელოები საკლუბო დაწესებულებათათვის. სკოლებსა და კულტურის სახლებთან უნდა მოეწყოს მუსიკალური წრეები, ჩატარდეს საჩვენებელი კონცერტები. სისტემატური მუშაობა უნდა გაჩაღდეს მუსიკის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდობის გამოსავლინებლად და აღსაზრდელად.

ამ ღონისძიებათა გატარება ხელს შეუწყობს საქართველოში მუსიკალური და ვოკალური კადრების მომზადების, ჩვენს სკოლებში სიმღერა-მუსიკის სწავლების საქმის არსებითად გაუმჯობესებას.

ს. ნაციაშვილი

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მანიფესტი მშვიდობის დასაცავად

ბუდაპეშტი, 6 დეკემბერი. (საკდეპი). ქალთა მეორე საერთაშორისო კონგრესმა დღეს ერთხმად მიიღო შემდეგი მანიფესტი:

„ქალებო, დედებო, დებო! სამი წლის წინათ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ჩვენ, ქალებმა, რომელნიც გაერთიანებული ვართ საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში, ჩვენს პირველ კონგრესზე საზეიმოდ დავდეთ ფიცი ვიბრძოლოთ ფაშიზმის სრული განადგურებისათვის, სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებისათვის, ახალი აგრესიის თავიდან აცილებისათვის. მტკიცე მშვიდობა ჩვენი ბავშვების, ჩვენი ოჯახების ბედნიერების ერთად ერთი გარანტიაა.

ჯერ კიდევ არ მოშუშებულა ჭრილობები, გამოწვეული გამანადგურებელი ომით, რომელიც ფაშისტმა ბარბაროსებმა გააჩაღეს, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა დაბომბვით დანგრეული ქალაქების აღდგენა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის თანამედროვე მმართველები, სამხედრო-სამრეწველო და საფინანსო წრეები უკვე ხელყოფენ მშვიდობას, ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომის ხანძარი და თავს დაატეხონ ხალხებს უფრო საშინელი სამხედრო კატასტროფა.

მათ სურთ ხელი შეუშალონ ხალხებს ისარგებლონ თავისი მშვიდობიანი შრომის ნაყოფით. ომი მომგებიანი საქმეა კაპიტალისტური მონოპოლიებისათვის, რომლებიც მდიდრდებიან მილიონობით უბრალო ადამიანის სისხლისღვრისა და ტანჯვის შედეგად. ომის გამჩაღებლები ადიდებენ შეიარაღებას, აწყობენ სამხედრო ბლოკებსა და კავშირებს, ახორციელებენ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას, ქმნიან სამხედრო ბაზებს, აღადგენენ იაპონიის სამხედრო პოტენციალს. ისინი ემუქრებიან კაცობრიობას აგრესიის ბარბაროსული იარაღით—ატომური ბომბით, ისინი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინააღმდეგობას უწევენ საბჭოთა კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ყველა იმ წინადადებას, რომელიც მიმართულია მშვიდობის განმტკიცებისა, შეიარაღების შემცირებისაკენ, მასობრივი მოსპობის იარაღის—ატომური ბომბის აკრძალვისაკენ.

ამერიკელი მონოპოლისტები ცდილობენ მოიპოვონ მსოფლიო ბატონობა. „მარშალის გეგმის“ დახმარებით ისინი სპობენ ხალხთა სუვერენიტეტს, ცდილობენ ხალხები გადააქციონ ამერიკის ზარბაზნების მეფეთა მონებად. მთელი მსოფლიოს ქალებმა უნდა იცოდნენ, რომ „მარშალის გეგმა“ არის არა დახმარება, არამედ ევროპის, და არა მარტო ევროპის, ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური დამონება. „მარშალის გეგმა“ ახალი ომის მომზადების გეგმაა. მარშალიზებული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკისათვის მას მოაქვს დიდი ზიანი: იხურება ქარხნები, იზრდება უმუშევრობა, უმაგალითო სისწრაფით მცირდება ხალხთა საარსებო დონე. ამ ქვეყნების მთავრობები სახალხო შემოსავლის დიდ ნაწილს ახმარენ სამხედრო საჭიროებას, ისინი აძლევენ ამერიკელ იმპერიალისტებს სამხედრო ბაზებს. „მარშალის გეგმა“ გერმანიის იმპერიალიზმის აღდგენას ნიშნავს. „მარშალის გეგმა“ სიღატაკე, რეაქცია და ომია.

იმპერიალისტები ერევიან იმ ქვეყნების საშინაო საქმეებში, რომელთა ხალხებიც იბრძვიან დემოკრატიული თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ახლა უკვე ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და ჰოლანდიის ტანკები და თვითმფრინავები, ზარბაზნები და ჯავშნიანი მანქანები დაძრულია საბერძნეთის, ინდონეზიის, ვიეტნამის, ჩინეთის, მალაიის თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ.

ამ ქვეყნების ხალხები დამნაშავენი არიან მხოლოდ იმაში, რომ მათ არ სურთ იყვნენ უცხოელ კოლონიზატორების მონები, რომ ისინი ისწრაფვიან გახდნენ თავიანთი ბედის პატრონი, რომ ისინი იბრძვიან მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, სურთ მაძღარი და ბედნიერი იხილონ თავიანთი ბავშვები.

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ეკონომიურ და პოლიტიკურ დახმარებას უწევენ ფრანკოს ტერორისტულ რეჟიმს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეამ ფაშისტურად ცნო.

ქალებო, დედებო, დებო!

თავისუფლებისმოყვარე ხალხების ერთობლივმა ღონისძიებებმა, პირველ რიგში საბჭოთა კავშირის ხალხების ღონისძიებებმა, კაცობრიობა იხსნეს ფაშისტური ბარბაროსობისაგან. ეს იყო დემოკრატიის ძალების გამარჯვება ფაშიზმზე, პროგრესის გამარჯვება რეაქციაზე, ადამიანის გონებისა და თავისუფლების გამარჯვება ბნელეთის მოციქულობასა და ბარბაროსობაზე.

მაგრამ ომისშემდგომმა წლებმა ცხადყვეს, რომ ფაშიზმის საბოლოო განადგურება ხელსაყრელი არ არის იმათთვის, ვინც მდიდრდება ადამიანების მოსპობის საშუალებათა წარმოებით, ვისაც დამონებული ჰყავს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები. ფაშიზმის სამხედრო განადგურების შედეგად დასუსტებული რეაქციის ძალები ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ მოახდინონ რევანში. მათ სურთ წაართვან თავისუფლებისმოყვარე ხალხებს გამარჯვება, რომლის საკურთხეველზე მიტანილია დიდი მსხვერპლი.

ქალებო! მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები განუზომლად გაიზარდნენ მთელ მსოფლიოში. ჩვენზეა დამოკიდებული — არ დავუშვათ, რომ ჩვენი ქმრები, შვილები და ძმები ვარეკონ ახალ ომში და საზარბაზნე ხორცი გახდნენ ატომური ავანტიურისტებისა და ჩარჩების ინტერესებისათვის. ჩვენზეა დამოკიდებული ვაიძულოთ სამუდამოდ დადუმდეს საყვირთა საშინელი ღმუილი და ბომბების გრუხუნი, რაც შეიძლება თავს დაატყდეს ჩვენს მშვიდობიან ბინებს და მოსპოს აკვნებში ჩვენი შვილები და შვილიშვილები. ჩვენზეა დამოკიდებული, არ დავუშვათ, რომ შიმშილის ტანჯვა, ხანძარი, დაავადება კვლავ თავს დაატყდეს მილიონობით ჩვენს ძმებსა და დებს.

ყველა ქვეყნის ქალებო!

დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენი შვილების წინაშე, ჩვენი ხალხების წინაშე, კაცობრიობის წინაშე და ისტორიის წინაშე. და თუ ჩვენ ყველა ქალი — ჩვენ კი კაცობრიობის ნახევარს შევადგენთ — გამოვალთ დარაზმული რიგებით ახალი ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ — ომი არ იქნება!

შეიკრიბა რა თავის მეორე კონგრესზე, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია მოგიწოდებთ:

სამარცხვინო ბოძს გააკრათ ომის გამჩაღებლები, რომლებიც აწყობენ სამხედრო კავშირებს, მთელ დედამიწაზე ქმნიან სამხედრო ბაზებს, რომლებიც აღადგენენ მილიტარიზმს დასავლეთ გერმანიაში და მსოფლიო მიჰყავთ ახალი ომისაკენ. ამხილეთ ომის ყოველგვარი პროპაგანდა.

პროტესტი განაცხადეთ საბერძნეთში, ჩინეთში, ვიეტნამში, ინდონეზიაში, მალაიასა და ბირმაში სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ.

დახმარების ხელი გაუწოდეთ ამ ქვეყნების ქალებსა და ბავშვებს. მოაწყეთ მათთვის სახსრების, კვების პროდუქტებისა და მედიკამენტების შეგროვება! პროტესტი განაცხადეთ ფრანკოს ტერორისტული რეჟიმის წინააღმდეგ. ყოველგვარი დახმარება გაუწიეთ დემოკრატიული ესპანეთის მებრძოლებს.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის ქალებო! გახსოვდეთ — არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის ხალხი, რომელიც ჩაგრავს სხვა ხალხებს, მოსთხოვეთ თქვენს მთავრობებს, საბერძნეთის, ჩინეთის, ვიეტნამის, ინდონეზიის, მალაიის, ბირმის და სამხრეთ კორეის ფარგლებიდან ჯარების გაყვანა და სხვა სახელმწიფოთა საქმეებში ყოველგვარი ჩარევის შეწყვეტა.

მოითხოვეთ სამხედრო ხარჯების შემცირება, შეიარაღების შემცირება, აკრძალვა ატომური იარაღის — აგრესიის იარაღისა, რომელიც მიმართულია მშვიდობიანი მოსახლეობის, და უწინარეს ყოვლისა, ქალებისა და ბავშვების მოსასპობად.

მოითხოვეთ სახელმწიფო ასიგნებათა გადიდება ხალხისა და ბავშვების საჭიროებისათვის.

კაპიტალისტური ქვეყნების ქალებო! უდემოკრატიოდ მშვიდობა არ შეიძლება. დაიცავით დემოკრატიული მონაპოვარი, მოითხოვეთ ანტიმუშური კანონების გაუქმება, პროტესტი განაცხადეთ დემოკრატიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების დევნის წინააღმდეგ.

კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ქალებო! გააფართოვეთ თქვენი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ბრძოლა თქვენი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალებო! განაგრძეთ აქტიური ბრძოლა თქვენი ქვეყნების სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, დემოკრატიის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირის ქალებო! განამტკიცეთ მომავალშიც თქვენი სამშობლოს — მშვიდობისა და დემოკრატიის დასაყრდენის ძლიერება. გახსოვდეთ, რაც უფრო ძლიერი იქნება თქვენი ქვეყანა, მით უფრო მტკიცე იქნება მშვიდობის ძალები.

მთელი მსოფლიოს ქალებო! დებო საერთო ბრძოლაში! მსოფლიოს სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთად შევქმნათ ერთიანი დარაზმული ფრონტი კაცობრიობის მტრების— ახალი ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

ყველა ერთსულოვნად დადექით მშვიდობის დასაცავად! მოაწყეთ მასობრივი მიტინგები, დემონსტრაციები, პეტიციები და მოითხოვეთ მშვიდობა, ამხილეთ აგრესიის დანაშაულებრივი გეგმები.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია თავისი არსებობის სამი წლის მანძილზე განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. თავისი ბრძოლით, რომელიც გამოხატავს მსოფლიოს მილიონობით ქალის მისწრაფებასა და იმედს, მან მოიპოვა უდიდესი ნდობა, გახდა ქალთა უაღრესად ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია.

56 ქვეყნის 80 მილიონი ქალის სახელით ქალთა მეორე საერთაშორისო კონგრესის დელეგატები აცხადებენ:

„უფრო გაბედულად, უფრო აქტიურად ვიბრძოლებთ მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ხალხთა უშიშროებისა და დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი შვილებისა და ოჯახების ბედნიერებისათვის.

ჩვენი ძალები აურაცხელია. გაერთიანებული ძალღონით მოვიგებთ ბრძოლას მშვიდობისა და დემოკრატიისათვის“.

მოწინავე კოლმეურნეობა და მისი ადამიანები

შავი ზღვის სანაპიროზე გადაჭიმულა მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ნაყოფიერი მიწები. ამ კოლმეურნეობის ბოლშევიკური საქმეები ფართოდ ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ჯერ კიდევ ათი წლის წინათ კოლმეურნეობას ჰქონდა მხოლოდ 56 ჰექტარი ციტრუსოვანთა ნარგავები, ახლა კი კოლმეურნეობა 440 ჰექტარზე მეტი ფართობიდან იღებს ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის უხვ მოსავალს.—როცა ხედავ თითქოს ოქროთი დაფარული ამ ნაყოფის სიუხვეს,— ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ვასილ ჯაბუა,—გიხარია არა მარტო კოლმეურნეობის სიმდიდრე, არამედ ისიც, რომ კოლმეურნეთა ენერგიული შრომის მეოხებით ჩვენი სამშობლოს მშრომელები წლითიწლობით სულ უფრო მეტი რაოდენობით მიიღებენ ამ ნაყოფს.

ციტრუსოვანი კულტურების განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა კოლმეურნეობას შესაძლებლობას აძლევს ყოველწლიურად გაადიდოს ამ დარგიდან მიღებული ფულადი შემოსავალი. 1940 წელს ამ კულტურებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენდა სულ 312 ათას მანეთს, ხოლო 1946 წელს იგი ერთიათად და მეტად გადიდდა და 3.355 ათასი მანეთი შეადგინა. მიმდინარე წელს კოლმეურნეობა ვარაუდობს ციტრუსებიდან მიიღოს სულ მცირე 4 მილიონი მანეთი შემოსავალი.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კოლმეურნეობაში მკვეთრად გადიდდა ტუნგოს პლანტაციებიც. 1938 წელს ტუნგოს ნარგავებს ეკავათ მხოლოდ 50 ჰექტარი, ხოლო ამჟამად მათი ფართობი 129 ჰექტარამდე გადიდდა. დამახასიათებელია, რომ 1940 წელს ტუნგოთი მიღებული შემოსავალი უდრიდა სულ 1.800 მანეთს, ხოლო 1947 წელს მან უკვე შეადგინა 322 ათასი მანეთი.

ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ტუნგოს დიდი ხვედრითი წონის მიუხედავად, კოლმეურნეობის სიამაყეს მაინც კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები შეადგენენ, რომლებსაც 210 ჰექტარი უკავიათ.

კოლმეურნეობა არა მარტო აფართოებს ჩაის ნარგავებს, არამედ მთავარ ყურადღებას უთმობს მათი მოსავლიანობის თანდათანობით გადიდებას მოწინავე აგრონომიული მეცნიერების ყოველმხრივი გამოყენების გზით. თუ ომისწინა წელს ჩაის საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე 2.920 კილოგრამს უდრიდა, 1947 წელს ყოველი ჰექტარიდან მიღებულ იქნა უკვე 3.630 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო მიმდინარე წელს—დაახლოებით 4 ათასი კილოგრამი.

მოსავლიანობის გადიდებაში განსაკუთრებით შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს კოლმეურნეობის წარჩინებულმა სტახანოველებმა. მაგალითად, სოციალისტური შრომის გმირის დარეჯან ტაკიძის რგოლმა, რომელზეც მიმაგრებულია 4 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, მიმდინარე წელს თვითეულ ჰექტარზე მოკრიფა 12.500 კილოგრამი ჩაი. თვით მერგოლეურმა, რომელსაც მიჩენილი აქვს 0,6 ჰექტარი, ამ ფართობიდან მოკრიფა 8.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით 14.160 კილოგრამს უდრის.

დარეჯან ტაკიძის რგოლის ნაკვეთზე ჩაის ბუჩქები თავისი სიხშირით და სიმძლავრით აღტაცებას იწვევენ. რგოლში ათი ქალი მუშაობს. ისინი ჩაის ფოთლის კრეფის პერიოდში დილიდან საღამომდე არ ტოვებენ თავიანთ ნაკვეთს და თვითეულ ბუჩქს ისე უვლიან, როგორც უძვირფასეს და უსაყვარლეს არსებას. რგოლი ზუსტად იცავს კოლმეურნეობის აგრონომის რჩევას. მაგალითად, იანვარში რგოლმა გულდასმით გადაბარა თავისი ნაკვეთი და მიწა შემოაყარა მცენარეებს. ამავე პერიოდში ჩაის ნარგავების თვითეულ ჰექტარზე შეიტანა 8 ტონა ნაკელი, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ 1.200 კილოგრამი მინერალური სასუქები — ფოსფორი და აზოტი. ზაფხულის პერიოდში პლანტაცია ოთხჯერ გაითოხნა ხელით და ჩატარდა მწკრივთაშორისი დამუშავება ცხენის კულტივატორით. ამავე ხნის განმავლობაში მცენარეთა დამატებითი კვებისათვის თვითეულ ჰექტარზე ოთხჯერ იქნა შეტანილი 400-500 კილოგრამი აზოტის სასუქები და, გარდა ამისა, ჩაის თვითეულ ბუჩქს სამჯერ დაუსხეს წუნწუხი, ყოველ ჰექტარზე 6 ათასი ვედროს ანგარიშით.

დარეჯან ტაკიძის რგოლს არ ჩამორჩება მასთან შეჯიბრებაში ჩაბმული ლუდმილა ხურციძის რგოლიც, ამასთან თვით მერგოლეურმა მასზე მიჩენილი 0,5 ჰექტარიდან მოკრიფა 7.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 14 ტონას შეადგენს. ლუდმილა ხურციძე მხოლოდ 27 წლისაა, მაგრამ რა შორს არის გასული მისი გმირული შრომის ამბავი! ნორმით გათვალისწინებული 20 კილოგრამის ნაცვლად ხურციძე ყოველდღიურად კრეფდა 70 კილოგრამამდე პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლს, ხოლო ცალკეულ დღეებში, როცა ჩაის ზრდა კარგი იყო, 250 კილოგრამამდე. წელს მან გამოიმუშავა 540 შრომადღე და შრომის მხოლოდ დამატებითი ანაზღაურებით უკვე მიიღო 15 ათას მანეთზე მეტი. შარშან თავისი სტახანოვური შრომისათვის ხურციძემ შრომის დამატებითი ანაზღაურებიანად მიიღო 32.500 მანეთი ფულად და 170 ფუთი მარცვალი. ტაკიძესა და ხურციძეს არ ჩამორჩებიან მერგოლეურები ოლღა თოიძე, ლუბა ღლეყვა, ანა ღლეყვა, გალინა თოიძე, კომკავშირელები ვერა ცენტერაძე და კატო დონდოლაძე, ვენერა თოიძე და სხვები.

საჭიროა ითქვას, რომ ჩაის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში ავანგარდული როლი კომუნისტებს ეკუთვნით. დ. ტაკიძე, ლ. ხურციძე, გალინა თოიძე და სხვები კომუნისტები არიან და ისინი ყველანი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებენ მუშაობაში დანარჩენ კოლმეურნეებს.

ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტიც: კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში გაერთიანებული 162 კომუნისტიდან 140 უშუალოდ მუშაობს ჩაის პლანტაციებში, ბაღებში და მინდვრად.

სუბტროპიკული კულტურების მოყვანასთან ერთად კოლმეურნეობა დიდ მნიშვნელობას აძლევს აგრეთვე მარცვლეული კულტურების ნათესებს, რომელთა მოსავლიანობაც აგრეთვე წლითიწლობით იზრდება.

1940 წელს სიმინდის მოსავალი უდრიდა 13,2 ცენტნერს ჰექტარზე, 1947 წელს კი 27,5 ცენტნერს. მემინდვრეობაშიც კოლმეურნეობას უხვი მოსავლის შესანიშნავი ოსტატები ჰყავს. მაგალითად, გერონტი ჯაბუას ბრიგადამ შარშან 6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 83 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ამ შესანიშნავი წარმატებისათვის ამხ. ჯაბუას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. კოლმეურნე იპოლიტე ხურციძემ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 85 ცენტნერი და მერგოლეურმა ა. ნ. ბორჩილაძემ 73,6 ცენტნერი სიმინდი. მიმდინარე წელსაც კოლმეურნეობაში სიმინდის კარგი მოსავალია მიღებული.

კოლმეურნეობის მუშაობაში დადებითად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საზოგადოებრივი მეურნეობა ყოველმხრივ ვითარდება და მრავალდარგიანი ხდება, რაც დადებითს გავლენას ახდენს კოლმეურნეობის შემოსავალზე.

კოლმეურნეობას აქვს მსხვილფეხა პირუტყვის საკმაოდ დიდი ფერმა, რომელშიც 750 სული პირუტყვი ითვლება. კოლმეურნეობა მისდევს მეაბრეშუმეობას, აგრეთვე აქვს ოთხი ჰექტარი სანერგე. სანერგეში მთელი რიგი წლების მანძილზე, შემადგენლობის თითქმის შეუცვლელად მუშაობს 30 კაცისაგან შემდგარი ბრიგადა, რომელსაც დავით ნაკაიძე მეთაურობს.

ნაკაიძის ბრიგადამ თავისი შრომით გასულ წელს, გარდა იმისა, რომ კოლმეურნეობა ნერგებით მოამარაგა, უზრუნველყო მარტო სანერგიდან 250 ათასი მანეთი შემოსავლის მიღება, ხოლო მიმდინარე წელს სანერგის შემოსავალი სულ მცირე 310 ათას მანეთს მიაღწევს.

მრავალდარგიანი მეურნეობა და არსებული შრომითი რესურსების სწორი გამოყენება კოლმეურნეობას შესაძლებლობას აძლევს წლითიწლობით გაზარდოს ფულადი შემოსავალი. მაგალითად, 1937 წელს კოლმეურნეობის შემოსავალი იყო სულ 985 ათასი მანეთი. შემდგომ წელს კოლმეურნეობა მილიონერი გახდა. ომამდელ 1940 წელს კოლმეურნეობის შემოსავალი 2.380 ათას მანეთამდე გაიზარდა, ხოლო 1947 წელს მან 9.526 ათასი მანეთი შეადგინა. მიმდინარე წელს კოლმეურნეობის შემოსავალი გეგმით გათვალისწინებულია 11.100 ათასი მანეთის რაოდენობით, მაგრამ კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ მიიღონ სულ მცირე 13 მილიონი მანეთი შემოსავალი.

კოლმეურნეობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების ყველა სახის მიხედვით დროზე და სრულად უსწორებს ანგარიშს სახელმწიფოს, წლითიწლობით ადიდებს შრომადღის როგორც ნატურალურ, ისე ფულად ანაზღაურებას.

თუ 1940 წელს შრომადღეზე გაიცა 11 მანეთი ფულად და 2 კილოგრამი მარცვალი, 1947 წელს შრომადღეზე გაიცა 23 მან. 47 კაპ. ფულად და 4,8 კილოგრამი მარცვალი. წელს გათვალისწინებულია შრომადღის ანაზღაურების შემდგომი გადიდება.

თუ რა უხვად ნაზღაურდება კოლმეურნეთა შრომა, ეს შეგვიძლია ცალკეულ კოლმეურნეთა მაგალითზე დავინახოთ. მაგალითად, იასონ გუჯაბიძის ოჯახმა, რომელშიც 4 შრომისუნარიანი წევრია, გასულ წელს გამოიმუშავა 1.516 შრომადღე და დამატებითი საზღაურიანად მიიღო 45.600 მანეთი ფულად და 433 ფუთი პური. მერგოლეურმა დარეჯან ტაკიძემ პირადად გამოიმუშავა 752 შრომადღე და დამატებითი საზღაურიანად მიიღო 41.640 მანეთი ფულად და 203 ფუთი მარცვალი. მიხეილ წითლიძის ოჯახმა, რომელიც 2 შრომისუნარიანი წევრისაგან შედგება, გამოიმუშავა 918 შრომადღე და მიიღო 21.569 მანეთი ფულად და 366 ფუთი მარცვალი. ასეთი დიდი შემოსავალი დამახასიათებელია მთელი რიგი სხვა კოლმეურნეებისთვისაც.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის განუწყვეტელი ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია შრომის სწორი ორგანიზაცია კოლმეურნეობაში. ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე მიმაგრებულია ბრიგადებზე და რგოლებზე. თვითეულმა კოლმეურნემ იცის მუშაობის თავისი უბანი და თავიდან ბოლომდე პასუხს აგებს მისი მდგომარეობისათვის. ყველაფერი ეს იწვევს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერების, აგრეთვე დავალებული საქმისათვის მათი პასუხისმგებლობის გადიდებას.

კოლმეურნეთა შრომითს აქტივობას ხელს უწყობს საწარმოო ნაკვეთების სწორად განაწილება და მიმაგრება, შესრულებული სამუშაოს დროული აღრიცხვა და მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებისათვის შრომის დამატებითი საზღაურის სისტემის გამოყენება. კოლმეურნეობამ არ იცის არასაპატიო მიზეზებით კოლმეურნეთა სამუშაოდ გაუსვლელობის შემთხვევები და მთელი რიგი წლების მანძილზე არა ჰყავს არც ერთი შრომისუნარიანი კოლმეურნე, რომელსაც შრომადღეების მისთვის დაწესებული მინიმუმი არ გამოემუშაოს. წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობა კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში. მაგალითად, 1938 წელს საშუალო გამომუშავება ერთ შრომისუნარიან კოლმეურნეზე შეადგენდა 150 შრომადღეს, ხოლო 1947 წელს იგი 242 შრომადღემდე გაიზარდა.

საზოგადოებრივი მეურნეობის სწორი ორგანიზაციის საქმეში თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ვასილ ჯაბუას, რომელსაც კოლმეურნეები ამ სამუშაოზე განუწყვეტლივ ირჩევენ 11 წლის განმავლობაში.

კოლმეურნეებთან მოპყრობაში თავმჯდომარე თავაზიანობასა და ტაქტს იჩენს, მაგრამ ამავე დროს მუშაობაში მკაცრი და მომთხოვნია. გათენებიდანვე მას ნახავთ ბრიგადაში, რგოლში, ფერმაში, დამხმარე საწარმოებში. იგი ხშირად რჩევას კითხავს კოლმეურნეებს, ინტერესით ეკიდება მათს შენიშვნებსა და წინადადებებს შრომის ორგანიზაციის, მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების დარგში, შემდეგ კი ყოველივე ახალსა და ძვირფასს განაზოგადებს და ბრიგადირების საშუალებით ავრცელებს კოლმეურნეობის საწარმოო უბნებში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ამ საკითხებს აყენებს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე განსახილველად.

კოლმეურნეობაში დიდ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივ ნაგებობათა მშენებლობას. ამჟამად მთავრდება ახალი კლუბისა და აბანოს მშენებლობა. ამავე დროს ნავარაუდევია შენობის აგება კოლმეურნეობის ბიბლიოთეკისათვის.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობა განუყოფელ ფონდში გადარიცხავს დაახლოებით 2 მილიონ მანეთს. ეს კოლმეურნეობას შესაძლებლობას მისცემს მთლიანად უზრუნველყოს საწარმოო და კულტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოთა ჩატარება.

ასეთია ბერიას სახელობის კოლმეურნეობა და მისი ადამიანები.

გ. კოსარევი

სსრ კავშირის მთავრობასთან არსებული კოლმეურნეობათა საქმეების საბჭოს წარმომადგენელი საქართველოს სს რესპუბლიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

კორეის საკითხის განხილვა

პარიზი, 7 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა კორეის საკითხის არსის განხილვას. მას წარედგინა მოხსენებები ეგრეთწოდებული „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხთა დროებითი კომისიისა", ამ უკანონო ორგანოსი, რომელიც ასამბლეის წარსულ სესიაზე შეიქმნა წესდების საწინააღმდეგოდ ამერიკის შეერთებული შტატების დაჟინებითი მოთხოვნით, რომელთაც იმედი ჰქონდათ გამოეყენებინათ იგი როგორც შორეულ აღმოსავლეთში თავიანთი აგრესიული პოლიტიკის საფარი. როგორც მოსალოდნელი იყო, „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხთა დროებითმა კომისიამ" ყოველი ღონე იხმარა, რომ დახმარებოდა ამერიკელ ექსპანსიონისტებს, როგორც ამერიკელი გენერალი ჰილდრინგი ამბობს, „მოკალათებულიყვნენ" სამხრეთ კორეაში სერიოზულად და დიდხნით. ეს კომისია შეეცადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტით დაეფარა სამხრეთ კორეაში 1948 წლის 10 მაისს ჩატარებული „არჩევნების" კომედიის გათამაშებისას ძირითადი დემოკრატიული პრინციპების უხეში დარღვევა და დახმარებოდა შეედგინათ სეულში „მთავრობა" ამერიკის მარიონეტებისაგან.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხთა დროებითმა კომისიამ" საჭიროდ ჩათვალა განეცხადებინა, რომ კორეა კვლავაც გაყოფილი დარჩება. „კომისიას მიაჩნია,—ნათქვამია მისი მოხსენების მეორე ნაწილის პირველი ტომის დასკვნებში, — რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის მშვიდობიანი ურთიერთდამოკიდებულების მიღწევის მეთოდების განსაზღვრის ამოცანა უსარგებლო იქნება მანამდე, სანამ საწინააღმდეგო იდეოლოგიები და მათი პოლიტიკური გეზები კვლავ შეეჯახებიან ერთმანეთს სულ უფრო მზარდი ძალით". ეს გულცივი და ცინიკური დასკვნა, რომელიც გათვალისწინებულია იმისათვის, რომ როგორმე გაამართლოს სამხრეთ კორეაში „მოყალთაბულ" ამერიკელ ოკუპანტთა მოქმედება, რომლებმაც იგი თავიანთ სამხედრო ბაზად გადააქციეს, უხეშად ეწინააღმდეგება კორეელი ხალხის საარსებო ინტერესებს.

დღეს პოლიტიკურ კომიტეტში გამოსული ამერიკის შეერთებული შტატების, ფილიპინების, ავსტრალიისა და ბრაზილიის წარმომადგენლები ყოველნაირად აქებდნენ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხთა დროებითი კომისიის" საქმიანობას და მისი დახმარებით სეულში შექმნილ მარიონეტულ მთავრობას, როგორც „კორეის რესპუბლიკის კანონიერ მთავრობას". ამავე დროს ისინი უხეშად ილაშქრებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც შექმნილია მთელი ხალხის ნების გამოხატვის შედეგად კორეის როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ნაწილში.

დელეგაციებს დაურიგდათ რეზოლუციის პროექტი, რომელიც შემოტანილია ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და ავსტრალიის სახელით. ამ პროექტის ავტორები ცდილობენ, რომ ასამბლეამ მოიწონოს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის საკითხთა დროებითი კომისიის" დასკვნები და კანონიერად გამოაცხადოს მისი მონაწილეობით სეულში შექმნილი მთავრობა. ამავე დროს რეზოლუციის ავტორები წინადადებას იძლევიან შეიქმნას ახალი „კორეის საკითხთა კომისია" უფრო ფართო რწმუნებებით, ვიდრე წინა კომისიას ჰქონდა.

იცავდა რა ამ პროექტს, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა დალესმა განაცხადა: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა დააკანონოს ის, რაც უკვე გაკეთებულია, — დააკანონოს კორეის რესპუბლიკის მთავრობა". ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ სრული გულახდილობით ცხადყო, რომ მას განზრახული აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტი გამოიყენოს იმისათვის, რომ განამტკიცოს თავისი სეულელი მარიონეტების ძალიან მერყევი მდგომარეობა. დალესი შეეცადა ყურადღება ჩამოეცილებინა თვითნებობისა და ძალადობის რეჟიმისაგან, რომელიც ამერიკელმა ოკუპანტებმა სამხრეთ კორეაში დაამყარეს, და დაუსაბუთებელი ცილისმწამებლური განცხადებით გამოვიდა ჩრდილოეთ კორეის მდგომარეობის შესახებ. მისი სიტყვა სავსე იყო აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა სიტყვებისათვის დამახასიათებელი შაბლონური და ღვარძლიანი გალაშქრებით კომუნიზმის წინააღმდეგ.

ჩინეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიისა და ინგლის-ამერიკის ბლოკის ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგატებმა მორჩილად გაიმეორეს დალესის თეზისები და დაარწმუნეს ის თავიანთ მზადყოფნაში ხმა მისცენ რეზოლუციას, რომელიც წამოაყენა და რომელსაც იცავს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია. კომიტეტს მნიშვნელოვანი დრო წაართვა სეულის მარიონეტული „მთავრობის" წარმომადგენლის ლაყბობამ, რომელიც სხდომაზე დაშვებულია ინგლის-ამერიკის უმრავლესობის მიერ თავსმოხვეული კენჭისყრის შედეგად. კორეაში ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა ეს აგენტი აქებდა ამ ხელისუფალთა მიერ სამხრეთ კორეაში შექმნილ მარიონეტულ რეჟიმს და ცილს სწამებდა ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიულ ძალებს. იგი მოუწოდებდა ამერიკის სამხედრო ძალებს — არ დატოვონ სამხრეთი კორეა და ბედის ანაბარად არ მიატოვონ სეულის „მთავრობა", რითაც აღიარა, რომ ამ ეგრეთწოდებულ მთავრობას არსებობა შეუძლია მხოლოდ უცხოეთის ხიშტების დახმარებით.

საღამოს სხდომის დასასრული აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატ დალესის ცდით—შეეწყვიტა კამათი. მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი როდიონოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის აჩქარება ნაკარნახევია მისწრაფებით—მიჩქმალოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, როგორიც კორეის საკითხია.

კამათი კორეის საკითხის გამო გაგრძელდება დღევანდელი საღამოს სხდომაზე.

ასამბლეის ერთ-ერთ სამუშაო ენად ესპანური ენის მიღების შესახებ

პარიზი, 7 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე დამთავრდა გენერალური ასამბლეის ერთ-ერთ სამუშაო ენად ესპანური ენის მიღების საკითხის განხილვა.

როგორც ცნობილია, ლათინური ამერიკის ქვეყნების მთელი რიგი დელეგაციების დაჟინებითი მოთხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაავალა შეესწავლა წინადადება ასამბლეის ერთ-ერთ სამუშაო ენად ესპანური ენის მიღების შესახებ მოხსენებაში, რომელიც ასამბლეის ახლანდელ სესიას წარედგინა, გენერალურმა მდივანმა აზრი გამოთქვა, რომ ამ წინადადების განხორციელება გამოიწვევს დამატებით ხარჯს 347.466 დოლარის ოდენობით. ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხთა საკონსულტაციო კომიტეტმა აღიარა, რომ ამჟამად არსებულ საფინანსო სიძნელეთა პირობებში სასურველი არ იქნებოდა დაეკისროთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს დამატებითი საფინანსო ტვირთი, როგორც ასამბლეის სამუშაო ენად ესპანური ენის მიღების შედეგი. ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხთა კომიტეტმა ურჩია გენერალურ ასამბლეას მოიწონოს საკონსულტაციო კომიტეტის დასკვნა, ე. ი. უარყოს ლათინური ამერიკის დელეგაციების თხოვნა.

მიუხედავად ამისა, ბოლივიის, ჰაიტის, კუბის, მექსიკის, პერუს, ურუგვაის, ფილიპინებისა და ჩილის დელეგაციებმა ასამბლეაში შეიტანეს რეზოლუციის ერთობლივი პროექტი და წინადადებას იძლევიან, რომ ესპანური ენა შეტანილ იქნას ასამბლეის სამუშაო ენების რიცხვში. კამათი ამ საკითხის გამო გაგრძელდა სამ პლენარულ სხდომაზე, ამასთან ლათინური ამერიკის ქვეყნების თითქმის ყველა დელეგატი გამოდიოდა ვრცელი სიტყვით, რომელშიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 19 ქვეყნის სახელმწიფო ენა აუცილებლად იქნას მიღებული ასამბლეის ერთ-ერთ სამუშაო ენად. სსრ კავშირის დელეგატმა ა. არუთინიანმა, რომელიც დღეს პლენარულ სხდომაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას ესმის და იზიარებს იმ გრძნობებს, რომლითაც ხელმძღვანელობენ ლათინური ამერიკის დელეგაციები თავიანთი წინადადების შეტანისას, და პრინციპულად წინააღმდეგი არ არის, რომ ესპანური ენა მიღებულ იქნას ასამბლეის ერთ-ერთ სამუშაო ენად. მაგრამ ლათინური ამერიკის დელეგაციების წინადადებას ნამდვილად დისკრიმინაციული ხასიათი აქვს რუსული, აგრეთვე ჩინური ენების მიმართ. ლათინური ამერიკის დელეგაციებს სხვანაირი პოზიცია რომ დაეკავებინათ და წინადადება შემოეტანათ აგრეთვე ასამბლეის სამუშაო ენად რუსული ენის მიღების შესახებ, მაშინ საბჭოთა დელეგაციას შეეძლო მხარი დაეჭირა ამ წინადადებისათვის.

არუთინიანმა დასძინა, რომ საბჭოთა დელეგაცია მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა თავის პატივისცემას ყველა ხალხის ენებისადმი და იცავდა ყოველი ერის წარმომადგენელთა უფლებას ესარგებლნათ თავიანთი სახელმწიფო ენით საერთაშორისო კონფერენციებზე. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია ვერ დაეთანხმება ასამბლეის ერთ-ერთ სამუშაო ენად ესპანური ენის მიღებას, თუ ამავე დროს რუსული ენაც არ მიიღებს იმავე სტატუსს, და საფუძველს ვერ ხედავს, თუ რატომ უნდა გამოეყოს როგორც სამუშაო ენა სამი ოფიციალური ენიდან მხოლოდ ესპანური. ლათინური ამერიკის დელეგაციებმა საკითხი ისე დააყენეს, რომ მან დისკრიმინაციული ხასიათი მიიღო. სწორედ ეს აიძულებს საბჭოთა დელეგაციას მხარი დაუჭიროს ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხთა კომიტეტის რეკომენდაციას.

არუთინიანმა დასძინა, თუ ასამბლეას მაინც მიაჩნია, რომ ესპანური ენა მიღებულ უნდა იქნას სამუშაო ენად, მაშინ საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს, რომ რუსული ენაც აღიარებულ იქნას ასამბლეის სამუშაო ენად.

ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო საკითხთა კომიტეტის რეკომენდაციის მხარდაჭერით გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, კანადის, ბელგიისა და სხვა დელეგატები. ყველა ისინი ილაშქრებდნენ ლათინური ამერიკის წინადადების წინააღმდეგ მხოლოდ საფინანსო და ტექნიკური ხასიათის სხვა მოსაზრებათა საფუძველზე.

შემდეგ გამოსულმა მექსიკისა და ბოლივიის დელეგატებმა განაცხადეს, რომ თუ წინადადებას შეიტანდნენ—მიეღოთ ასამბლეის სამუშაო ენებად რუსული და ჩინური ენები, ისინი ხმას მისცემდნენ ასეთ წინადადებას.

მაგრამ როცა სსრ კავშირის დელეგატმა არუთინიანმა წინადადება მისცა მექსიკის დელეგატს ლათინური ამერიკის დელეგაციების პროექტში არა მარტო ესპანური, არამედ რუსული ენაც შეეტანათ, მექსიკის დელეგატმა სხვადასხვა საპროცედურო საბაბით უარი თქვა მიეღო ეს წინადადება. მაშინ არუთინიანმა საბჭოთა დელეგაციის სახელით შეიტანა რეზოლუციის პროექტის შესწორება, რომელიც მოითხოვს, რომ სამუშაო ენად ესპანურთან ერთად რუსული ენაც იქნას მიღებული.

თავმჯდომარე ევატმა სხვადასხვა ფორმალური საბაბით წინადადება წამოაყენა უარეყოთ სსრ კავშირის დელეგაციის შესწორება. ლათინური ამერიკის ქვეყნების ყველა დელეგატმა, როგორც ერთმა კაცმა, ხმა მისცა საბჭოთა შესწორების განხილვის წინააღმდეგ.

წინადადება გენერალური ასამბლეას ერთ-ერთ სამუშაო ენად ესპანური ენის შეტანის შესახებ მიღებულ იქნა 30 ხმით. ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ერთად, ხმა მისცეს არაბული ქვეყნების, საბერძნეთის, თურქეთისა და ზოგიერთმა სხვა დელეგატებმა. რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ ხმა მისცა 21 დელეგაციამ და 7 დელეგაციამ თავი შეიკავა კენჭისყრაში.

მაგრამ საბჭოთა დელეგაციის მოსაზრებებმა მრავალი დამსწრის კანონიერი ეჭვი გამოიწვია მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში. თავმჯდომარე ევატმა გამოაცხადა, რომ დღევანდელი გადაწყვეტილება გადაეცემა იურიდიულ კომიტეტს, რომელიც განიხილავს მთლიანად პროცედურის იმ წესის შეცვლის საკითხს, რომელიც შეეხება გენერალური ასამბლეის სამუშაო ენებს.

ბერლინის დასავლეთ სექტორებში ჩატარებული „არჩევნების" გამო

ბერლინის საბჭოთა სამხედრო კომენდანტის პოლკოვნიკ ელიზაროვის განცხადება

ბერლინი, 7 დეკემბერი. (საკდესი). ბერლინის საბჭოთა სამხედრო კომენდანტის მოვალეობის აღმსრულებელმა პოლკოვნიკმა ელიზაროვმა პრესის წარმომადგენლებს გადასცა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ 5 დეკემბერს ბერლინის დასავლეთ სექტორებში ჩატარებული არჩევნები მიმართული იყო „ქალაქის გათიშვისა და დასავლეთ სექტორებისათვის მმართველობის სპეციალური ორგანოების შექმნისაკენ, აგრეთვე ანტიდემოკრატიულ და აშკარა რეაქციული ელემენტების აქტიურობის წაქეზებისაკენ. ეს არჩევნები არადემოკრატიული და არათავისუფალი იყო იგი თავისი ხასიათითა და გატარების წესით ეწინააღმდეგებოდა როგორც ბერლინის დროებით კონსტიტუციას, ისე არჩევნების დებულებას. არჩევნების მომზადება და ჩატარება ხორციელდებოდა მთელი რიგი მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციების უკანონოდ აკრძალვის პირობებში".

„დაშინებასა და ზეგავლენას, — განაგრძო პოლკოვნიკმა ელიზაროვმა, — რასაც იყენებდნენ ბერლინის დასავლეთი სექტორების მოსახლეობის მიმართ, აგრეთვე მასობრივი ხასიათი ჰქონდა და ხორციელდებოდა დასავლეთ სექტორებში მოსახლეობისადმი გერმანელი და არაგერმანელი ოფიციალური პირების მხრივ მუქარის მეოხებით, აგრეთვე ქალაქის დასავლეთი სექტორების ქუჩებში ტანკების, ჯავშნიანი მანქანებისა და შეიარაღებული ძალების დემონსტრაციის გზით. ყოველივე ამან გამორიცხა მოსახლეობის თავისუფალი ნების გამოხატვის შესაძლებლობა.

5 დეკემბრის არჩევნები მიმართული იყო ქალაქის გათიშვისაკენ და ტარდებოდა ნაცვლად ერთიანი დემოკრატიული არჩევნებისა მთელ ქალაქში. საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფალთა ამა წლის 20 ოქტომბრის შესაბამისი წინადადება უარყოფილ იქნა.

სეპარატული არჩევნების შედეგები, რაც დასავლეთი სექტორების პრესაში გამოქვეყნდა, წარმოადგენს უხეშ ფალსიფიკაციას. არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობის შესახებ ცნობები ბევრად აღემატება ხმის მიცემის მონაწილეთა ნამდვილ რიცხვს, ხოლო გაუქმებული ბიულეტენების რაოდენობა შეგნებულად შემცირებულია.

ყოველივე ამის გამო ბერლინის საბჭოთა კომენდატურას ბერლინის დასავლეთ სექტორებში 5 დეკემბერს ჩატარებული სეპარატული არჩევნები არაკონსტიტუციურად, ხოლო მისი შედეგები არანამდვილად მიაჩნია".

მუშური ბერლინის პასუხი გამთიშველ არჩევნებზე

ბერლინი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთ „ტრიბუნეს" ცნობით, გამთიშველი არჩევნების დღეს — 5 დეკემბერს — დემოკრატიულმა მუშურმა ბერლინმა თავი დაუპირდაპირა ანტიდემოკრატიულ, ბურჟუაზიულ ბერლინს, რომელიც დასავლეთელი პატრონების მითითებით მოქმედებდა. ბერლინის დასავლეთ რაიონებში ჩატარებული უკანონო ანტიდემოკრატიული გამთიშველი არჩევნების კომედიას ქალაქის მშრომელებმა დაძაბული აღდგენითი მუშაობით უპასუხეს.

გამოთქმა „მუშური ბერლინი", წერს გაზეთი, ნიშნავს არა მარტო აღმოსავლეთ სექტორს. ათეულ ათასობით მშრომელი — კაცი და ქალი, — ტრანსპორტის სიძნელეთა მიუხედავად, რის შექმნასაც ცდილობდა „დამოუკიდებელი პროფკავშირული ოპოზიცია", ნებით მოვიდა დასავლეთი სექტორებიდან აღდგენით სამუშაოებზე საბჭოთა სექტორში. ყველა ეს მშრომელი ერთი აზრით, ერთი სურვილით იყო გამსჭვალული — რაც შეიძლება მალე აღადგინონ ერთიანი დიდი ბერლინი.

როგორც „ტრიბუნე" იუწყება, პრენცლაუერბერგის რაიონში კვირაობის მონაწილეებმა განტვირთეს 97 ვაგონი ქვანახშირი. ბერგმანბორზიგის ქარხანაში პანკოვში სამუშაოდ მოვიდა 3.500 ბერლინელი. მუშები, მოსამსახურეები, ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტები. კარლ მარქსის სახელობის პარტიული სკოლის მსმენელები, საბჭოთა სექტორისა და დასავლეთი სექტორების სხვადასხვა რაიონების ასობით მცხოვრებნი მონაწილეობდნენ დანგრეულ საწარმოთა და შენობათა აღდგენაში, რკინის ჯართის დატვირთვაში, ქარხნების ეზოთა გაწმენდაში. მარტო მიტეს რაიონში მუშაობა მიმდინარეობდა 87 საწარმოში, სამშენებლო მოედანზე და დაწესებულებაში. კვირაობაში მონაწილეობა მიიღო სულ 100 ათასზე მეტმა კაცმა.

5 დეკემბერს, როგორც დასასრულ წერს „ტრიბუნე", მთელი მსოფლიოს წინაშე გარკვეულად და ნათლად დემონსტრირებულ იქნა, რომ ბერლინში იმ ძალებს გარდა, რომლებიც დანგრევისაკენ ისწრაფვიან, მოიპოვება ისეთი ძალებიც, რომლებიც აღდგენისათვის იბრძვიან.

საფრანგეთის ნაციონალიზებულ საწარმოთა გადაცემა წინანდელი მფლობელებისათვის

პარიზი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ჟურნალ ოფისიელმა" გამოაქვეყნა დეკრეტი იმის შესახებ, რომ „შნეიდერისა და კომპანიის" ფირმას უბრუნდება ქონება, აქციები და კრეზოს ქვანახშირის აუზის ექსპლოატაციის უფლება. ამტკიცებენ, კრეზოს ქვანახშირის მრეწველობა, რომელიც ნაციონალიზებული იყო, დეფიციტური გახდა.

იაპონიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის—ასიდას დაპატიმრება

ტოკიო, 8 დეკემბერი. (საკდესი) ტოკიოს პროკურატურამ დააპატიმრა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ხიტოსი ასიდა და პარლამენტის ორი წევრი — კეიტარო კიტამურა (დემოკრატიული პარტია) და ტოიოძირო კავახასი (ახალი ლიბერალური პარტია), რომლებსაც ბრალად ედებათ დიდი ქრთამების მიღება იაპონიის ერთი ფირმისაგან.

ძიძი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ გუშინ პროკურატურამ პრემიერ-მინისტრ იოსიდას წერილი გაუგზავნა და მოითხოვა ნება დართოს დააპატიმრონ პარლამენტის წევრი კაკუეი ტანაკა (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია), რომელიც 29 ნოემბერს გადადგა გენერალური პროკურორის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობიდან. ტანაკას ბრალად ედება, რომ ქვანახშირის შახტებისადმი სახელმწიფო კონტროლის კანონპროექტის განხილვისას ქვანახშირის მრეწველ სიგეიოსი კისოსაგან ქრთამად მიიღო 1 მილიონი იენი.

ტრუმენის მოხსენება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი საბერძნეთისა და თურქეთისათვის „დახმარების" შესახებ

ვაშინგტონი, 6 დეკემბერი. (საკდესი) ტრუმენმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გადასცა მეხუთე კვარტალური მოხსენება საბერძნეთისა და თურქეთისათვის შეერთებული შტატების სამხედრო „დახმარების" შესახებ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ „სამხედრო მიწყნარებამ", რაც ჩამოვარდა საბერძნეთისა და თურქეთისათვის დახმარების შესახებ წინა მოხსენების გამოქვეყნების შემდეგ იმ პერიოდში, რომელიც 30 ივნისს თავდება, გააჭიანურა ბრძოლა საბერძნეთში. მოხსენებაში გამეორებულია მტკიცება, თითქოს ბერძენ პარტიზანებს დახმარებას უწევენ ალბანეთიდან, ბულგარეთიდან და იუგოსლავიიდან.

მოხსენებას დართული აქვს ტრუმენის წერილი, რომელიც შეიცავს იმის აღიარებას, რომ საბერძნეთის მეფის მთავრობის სამხედრო გეგმები ჩაიფუშა, მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ უდიდესი დახმარებისა.

მოხსენება ცხადყოფს, რომ დღემდე საბერძნეთისათვის გამოყოფილი იყო 395.061 ათასი დოლარი, აქედან 266.911 ათასი — უშუალოდ სამხედრო დახმარებისათვის. თურქეთისთვის გამოყოფილი იყო 117.730 ათასი დოლარი. მთელი ეს თანხები სამხედრო დახმარებაზე დაიხარჯა, გარდა საგზაო მშენებლობისათვის განკუთვნილი 5 მილიონი დოლარისა.



ახალი ხიდი მდინარე რიონზე ქ. ქუთაისში. ინჟინერ ნ. ალხაზიშვილის პროექტის მიხედვით. ფოტო პ. ლუცენკოსი

ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა ტურნირი

6 დეკემბერს გათამაშდა გადადებული პარტიები.

მალე დამთავრდა პეტროსიან-გიორგაძის პარტია, რომელშიც პეტროსიანმა ადვილად გამოიყენა თავისი მატერიალური უპირატესობა და გამარჯვებას მიაღწია. გიორგაძე დამარცხდა ამირხანოვთან. ორი დამარცხება განიცადა აგრეთვე სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა დუზ-ხოტიმირსკიმ. საინტერესოდ მიმდინარეობდა მისი პარტია ოსტატ ებრალიძესთან. გადადებულ პოზიციაში, მიუხედავად პაიკის უქონლობისა, დუზ-ხოტიმირსკის ყაიმის რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ ებრალიძემ ზუსტი თამაშით დამტკიცა თავისი პოზიციის უპირატესობა და გამარჯვება მოიპოვა. ქარსელაძემ დუზ-ხოტიმირსკისთან ადვილად შეძლო თავისი მატერიალური უპირატესობის—ზედმეტი პაიკის რეალიზება. მეორე გადადებულ პარტიაში—ამირხანოვთან, ქარსელაძეს მცუბუქი ფიგურების ენდშპილში აკლდა პაიკი. სწორი თამაშით მან შეძლო ყაიმისათვის მიეღწია, მაგრამ ვერ მოძებნა თამაშის სწორი გეგმა და დამარცხდა.

ამრიგად, რვა ტურის შემდეგ წინ არიან: მაკოგონოვი—6,5, სოროკინი—5,5 (შვიდი პარტიიდან), პეტროსიანი—5 (შვიდი პარტიიდან) და ებრალიძე—5.

წიგნები სოფლის მეურნეობის საკითხებზე

„კალიფორნიის ფარიანა საქართველოში"

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით უფასოდ დასარიგებლად დაბეჭდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ი. ბათიაშვილის მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი „კალიფორნიის ფარიანა საქართველოში". წიგნში მოყვანილია ვრცელი ცნობები კალიფორნიის ფარიანას გავრცელებაზე, მოცემულია ფარიანას აღწერა, მკვებავი მცენარეები, დაზიანების ფორმა და უარყოფითი ეკონომიური მნიშვნელობა, ფარიანას ბიოლოგია, ეკოლოგიის ძირითადი მომენტები, გავრცელების გზები და საშუალებანი, აღრიცხვა და ბრძოლის ღონისძიებანი.

„ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის გამოყენება ხეხილის მავნე მწერთა წინააღმდეგ

საქართველოს ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობამ დაბეჭდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ი. ბათიაშვილის წიგნი „ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდის გამოყენება ხეხილის მავნე მწერთა წინააღმდეგ". ნაშრომში მოცემულია მავნე მწერთა აღწერა-დახასიათება და მათთან ბრძოლის ღონისძიებანი.

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი

7 დეკემბერს გათამაშდა დაუმთავრებელი, აგრეთვე გაუთამაშებელი პარტიები.

ტურნირის ლიდერებმა — კოტოვმა, ბრონშტეინმა და ფურმანმა მარცხი განიცადეს. კოტოვს მოუგო კონსტანტინოპოლსკიმ, ბრონშტეინს — კერესმა, ფურმანს — ილივიცკიმ.

ბონდარევსკი-ბრონშტეინის პარტია ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი პარტიების გათამაშების შედეგები შემდეგია: კერესმა ბრძოლის გაურბელებლად დაუთმო პარტია რაგოზინს, პანოვმა სწრაფად მოუგო ბონდარევსკის. ყაიმით დამთავრდა შემდეგი პარტიები: არონინ-ავერბახისა (გაუთამაშებლად), ავერბახ-რაგოზინისა და ტაიმანოვ-ილივიცკისა. ავერბახ-პანოვის პარტია კვლავ გადაიდო.

ახლად გათამაშებული ტოლუშ-არონინის პარტია ტოლუშის გამარჯვებით დამთავრდა. ლევენფიშ-ალატორცევის მეორე პარტია გადაიდო.

16 ტურის შემდეგ კოტოვსა და ფურმანს აქვთ ათ-ათი ქულა 15-ში, ბრონშტეინს 9,5 და ლისიცინს 9 ქულა 15-ში.

8 დეკემბერი თავისუფალი დღე იყო.

9 დეკემბერს გათამაშდა ჩემპიონატის მე-17 ტური. (საკდესი).

ქართველი მწერლები სლოვაკურ ენაზე

ახალი დემოკრატიის ქვეყნებში სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ საბჭოთა საქართველოს კულტურული ცხოვრებისადმი. მაგალითად, ამას წინათ სლოვაკურ ჟურნალ „სლოვენსკე პოგლადში" გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, ა. აბაშელის და ილო მოსაშვილის ლექსთა თარგმანები.

საკავშირო შეჯიბრება აკრობატიკაში

მოსკოვში მოეწყო შეჯიბრება საკავშირო პირველობისათვის აკრობატიკაში. მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, თბილისის, ბაქოს, ტაშკენტის აკრობატები.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს თბილისის აკრობატებმა ი. მახაშვილმა, გ. ძურაველოვმა, გ. გარსევანიშვილმა და ვ. კახეგიძემ (ჯგუფური ვარჯიში 4 კაცისათვის).

მეორე ადგილზეც თბილისელები ი. მახაშვილი და ზ. იაკება (მეჯლური წყვილი) გამოვიდნენ.

შეჯიბრების მონაწილენი დააჯილდოვეს ჩემპიონის მაისურებით და პირველი ხარისხის დიპლომით.

11 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, კომბინატ „კომუნისტის" კლუბში (ლენინის ქ. № 14) მოწვეულია ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის XXIV პარტიული კონფერენცია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის—10-XII „პიკის ქალი" (15 აბ. 4 წარმ.), 11-XII „ევგენი ონეგინი" (10 აბ. 5 წარმ., ქნარიკ გრიგორიანის მონაწილეობით);

რუსთაველის სახელობის—10-XII **„ხევისბერი გოჩა"** (17 სერ. 3 წარმ.), 11-XII **„ერთი ღამის შეცდომები"** (20 სერ. 3 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის — 10-XII **„მოძღვარი"** (19 სერ. 3 წარმ.), 11-XII **„რკინის პერანგი"** (21 სერ. 3 წარმ.);

გრიბოედოვის სახელობის — 10-XII **„დიადი ძალა"** (22 აბ. 3 წარმ.), 11-XII **„ლენინი და გორკი"** (18 აბ. 3 წარმ.);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის—11-XII **„ხამთა სიყვარული"** (აბ. გარეშე), 11-XII **„ნათელა"** (აბ. გარეშე);

მოზარდ მაყურებელთა ქართული —10-XII **„წითელქუდა"** (42 აბ. 6 ს.), 11-XII **„ბაში-აჩუკი"** (68 აბ. 7 ს.);

კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული — 10-XII **„შემოდგომა ტბაზე"** (30, 31, 32, 34, 35 და 44 აბ. 3-30 წ.).

მე-3 შემოსატანის გადახდა ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.

მოქალაქე **ონიკ სამსონის-ძე აგაბეგოვმა**, მცხოვრებმა ბესიკის I შესახვევი № 2, აღძრა საქმე ქ. ბორჯომში, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სანატორიუმში მცხოვრებ მოქალაქე **ელენე მიხეილის ასულ ჩესლავსკაიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები მეგი, გივი, დევი დათეშიძეები, და ჩუტუ ბექაია-ავალიანისა ოჯახით, ძმა ლუსიკო ბექაია, ნინო ლეჟავა იუწყებიან **ხონია ივანეს ასულ დათეშიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XII, 7 ს. გამოსვენება 12-XII, 1 ს. პაპანინის III ჩიხი, 13.

თინა და ისიდორე შარაშენიძეები ოჯახით, სიძე ჯემალ ციციშვილი იუწყებიან **ხონია ივანეს ასულ დათეშიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XII, 7 ს. გამოსვენება 12-XII, 1 ს. პაპანინის III ჩიხი, 13.

მშობლები ეთერ მენთეშაშვილი და შალვა ხაჭაპურიძე, ძმა გურამ, მამიდები სონია, თამარ, ნადია ოჯახებით იუწყებიან **ლიანას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XII, 7 ს. გამოსვენება 12-XII, 2 ს. ბარნოვის, 94.

მეუღლე ნადია, შვილი ლიანა იუწყებიან **გრიგოლ ირაკლის-ძე თოფურიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XII, 7 ს. გამოსვენება 12-XII, 3 ს. დიდუბის მე-5 შესახვ., 11.

აპ. დოჭვირი, კ. გარდაფხაძე, ნ. შველიძე, დ. ფანჩულიძე, ვ. მერკვილაძე, ა. კალანდარიშვილი, ქ. ოტიაშვილი, თ. ზახაშვილი, თ. კოსტანაშვილი, ა. თელია, ა. გაჩეჩილაძე, ვ. კვარაცხელია, ს. ლეჟავა, მ. მანთიძე, ს. პაპიანი თანაგრძნობას უცხადებენ კოლია კოკაიას მისი შვილის **ანზორის** გარდაცვალების გამო.

დედა ვარდო, შვილი მერი, ძმები შალვა და შოთა გორდელაძეები, ზარა გრიქუროვა, ნათელა ვაშალომიძე, გრიგოლ. ელენე ლომინაძეები, კაკო, გიორგი, ფილიპე მუჯირები იუწყებიან **ნადია გიორგის ასულ გორდელაძე-ჩიხლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-XII, 5 ს. ქ. მახარაძეში, ლენინის, 32.

ბიკენტი და გოგოლა, თადეოზ და ლილი შვილებით გია და მანანათი და ქსენია ბეგელიები იუწყებიან **მიხეილ პეტრეს-ძე ჩხეტიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XII სოხუმში, ბარათაშვილის, 306/6.

დედა თამარ, მამა ნიკოლოზ, და ნინო, სიძე დავით ზარდიაშვილი ოჯახით იუწყებიან **ევგენია ცინცაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XII, 7 ს. გამოსვენება 12-XII, 2 ს. ჩიტაძის, 10.

მშობლები მალხაზ და ლუბა, ცოლი ნორა, შვილები ზურაბ და ეთერ იუწყებიან, რომ 12-XII 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ზურაბ მალხაზის-ძე ფარულავას** პანაშვიდი.

დეიდა მარიამ მარკოზაშვილი, დეიდაშვილები ირაკლი და გიორგი, რძალი ალექსანდრა ოჯახით იუწყებიან **შალვა გიორგის-ძე ხეჟეიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-XII, 7 ს. ორჯონიკიძის, 14.

ფატი, ტოგო, ნუცა, ზინა, მიშა და ზურაბ ჩხეტიები, სანდრო, ანდრო და ლეილა ლომსაბერიძეები იუწყებიან **მიხეილ პეტრეს-ძე ჩხეტიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XII სოხუმში, ბარათაშვილის, 306/6.

შ. ღლონტი, ვ. მაღრაძე, ი. ძაგნიძე, ი. ბერაძე, ნ. გახარია, გ. ბარამია, გ. მოსეშვილი, ზ. მგელაძე, ა. ბაქრაძე იუწყებიან უახლოესი მეგობრის ექიმ **შალვა თეოფილეს-ძე ხონელიძის** გარდაცვალებას.

ბებია ნინო, დეიდები ვალიდა, ზინა, ნადია, ბიძა ფარნაოზ მენთეშაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ლიანა შალვას ასულ ხაჭაპურიძის** გარდაცვალებას.

მულები ლიზა, თამარ, რძლები მარიამ, შურა, მაზლიშვილები მათიკო, ნანა, გული, მარიკა, ელა, ბიჭიკო, ბიჭი დათეშიძეები და ბაბო ხეცურიანი იუწყებიან **ხონია ივანეს ასულ დათეშიძის** გარდაცვალებას.

კოსტა მდივნიშვილი ოჯახით იუწყება **ნიკა გიოს-ძე ძამუკაშვილის** გარდაცვალებას.

შვილები ნიკოლოზ, რაფიელ, კონსტანტინე, ალექსანდრე ბოკერიები ოჯახებით იუწყებიან **იუსტინა ივანეს ასულ ბოკერიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XII, 7 ს. გამოსვენება 12-XII 2 ს. ლუნაჩარსკის, 6.

დედა ელენე კვირკველია იუწყება **ლეილა ლევანის ასულ შენგელაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-XII, 7 ს. გამოსვენება 12-XII, 2 ს. ნიკოლაძის I ჩიხი, 6.

შვილი სონია ლალიაშვილი, თინა, თამარ, ნათელა ნემსაძეები, ნიკუშა და ნოდარ ლალიაშვილები, სიძეები კოლია ნემსაძე და ალექსანდრე ქაჯაია იუწყებიან **ნოე ლალიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 11-XII ს. ოფშკვითში.

შვილები ქეთო, მაყვალა, ზურაბ, ქალები გიორგი სირაძე, დავით და გიორგი წერეთლები ოჯახებით იუწყებიან **კალენიკე სიმონის-ძე მშვენიერაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XII დაბა შორაპანში.

მეუღლე გიორგი, შვილები ბორის და თეიმურაზ, ალექსანდრე, კეკე, მარო, აზნენ, ნაზო სუმბულაშვილები იუწყებიან **ელენე ილიას ასულ სუმბულაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 11-XII, 6 ს. გამოსვენება 12-XII, 3 ს. მარჯანიშვილის, 49.

დედა ანა, და ნინო, ძმები არჩილ, ნოე, რძალი მარგო გოჯორაშვილები, სიძე ნიკოლოზ სვირიდოვი შვილებით იუწყებიან **ელენე ილიას ასულ სუმბულაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12-XII, 3 ს. მარჯანიშვილის, 49.

ნინო, იოსებ ბეგიაშვილები ოჯახით, ილია, ლალი ყაჭიერები იუწყებიან **ლიანა შალვას ასულ ხაჭაპურიძის** გარდაცვალებას.

სარდიონ, ქენია, ეკატერინე, ნუნუ და როზა ჯანჯღავები თანაგრძნობას უცხადებენ ლუბა და კოლია კოკაიებს მათი შვილის **ანზორის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ვარდიკო, შვილები გალაქტიონ, კატო, სონია, ქენია, რძალი მერი, სიძეები პეტრე ლომაძე, რაჟდენ თელია შვილებით იუწყებიან **ანდრო ქაიხოსროს-ძე გოგეშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XII ს. ნიგოითში.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობისა — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 უე 12947